ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი · შაბათი 22 მაისი 2004 №115 (2134) · ფასი 50 თეთრი


| I-VI ადგილები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სიონი | 9 | 5 | 3 | 1 | 13:5 | 38 |
| ვიტ ჯორჯია | 9 | 5 | 2 | 2 | 9:3 | 38 |
| დინამო | 9 | 3 | 3 | 3 | 13:9 | 37 |
| თბილისი | 9 | 3 | 5 | 1 | 12:7 | 32 |
| ლოკომოტივი | 9 | 1 | 5 | 3 | 6:10 | 25 |
| დილა | 9 | 0 | 2 | 7 | 1:20 | 19 |

# ღმერთი მაღალია



















## ვის დაეფიცება დღევანდელი დღე?

| VII-XII ადგილები | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 9 | 5 | 2 | 2 | 16:8 | 34 |
| კოლხეთი | 9 | 5 | 3 | 1 | 11:5 | 30 |
| მცხეთა | 9 | 5 | 3 | 1 | 8:3 | 28 |
| ბათუმი | 9 | 3 | 0 | 6 | 5:11 | 25 |
| სპარტაკი | 9 | 4 | 1 | 4 | 14:8 | 21 |
| მერცხალი | 9 | 0 | 1 | 8 | 2:21 | 6 |

# მწვრთნელები და მცველები ჩამოვიდნენ

ისრაელთან 27 მაისის ამხანაგური მატჩისთვის მზადებას საქართველოს ნაკრები ხვალიდან დაიწყებს. ამ თამაშისთვის გამოძახებული ფეხბურთელები სასტუმრო „ბატისტაში“ დაბინავდებიან და, სავარაუდოდ, მატჩამდე ნაკრების ბაზაზე ივარჯიშებენ.

გუშინ თბილისში ჩამოვიდნენ ეროვნული გუნდის მწვრთნელი ალენ ჟირესი, მისი თანაშემწე გია გურული, „მილანის“ მცველი კახა კალაძე და რეინჯერსელი ზურაბ ხიზანიშვილი. დანარჩენ ლეგიონერებს კი ხვალ-ზეგ ელიან.

ჟირესს ისრაელთან მატჩისთვის თავიდან 22 ფეხბურთელი ჰყავდა გამოძახებული, თუმც ვლადიკავკაზის „ალანიაში“ მოთამაშე ვიტალი დარასელიასა და ლევან გვაზავას მკურნალობა გაუგრძელდათ და ჩამოსვლას ვერ ახერხებენ. მათი შემცვლელების ვინაობა მწვრთნელს ჯერ არ გამოუცხადებია და, ალბათ, არც გამოაცხადებს — ებრაელებს 20 ფეხბურთელით დაუხვდება.

დანარჩენს კი ალენ ჟირესი პრესკონფერენციაზე იტყვის, რომელსაც ის ახალგაზრდული ნაკრების თავკაც გოჩა ტყებუჩავასთან ერთად დღეს გამართავს. დღესვე ჟირესი ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩს, სავარაუდოდ, „ვიტ ჯორჯია“ — „ლოკომოტივს“ დაესწრება.



ქართული ბიბლიოთეკა

# ბუღა ავსტრალიაშიც ბუღაა

## თურქებმა მწვანეზე გაისეირნეს

**თურქეთის** ნაკრებმა ავსტრალიური ტურნე გამარჯვებით დაიწყო. მწვრთნელად ერსუნ იანალის დანიშვნის შემდეგ ოსმალომ მიჯრით მეორე მატჩი მოიგო და ორივეში სამ-სამი გოლი გაიტანა. ერთი თვის წინ თურქებმა ბელგიელებს სძლიეს.

სიდნეიში გამართულ შეხვედრას 40 ათასამდე მაყურებელი დაესწრო. სტუმრებმა პირველ ტაიმში ერთი რეალური საგოლე მომენტი შექმნეს. „ფენერის" ფორვარდი ტუნჯაი ოკან ბურუკის პასით ხელსაყრელ პოზიციაში აღმოჩნდა, მაგრამ მისი დარტყმული მარკ შვარცერმა მოიგერია.

ანგარიში შესვენების დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე გაიხსნა. უმიტ ოზატმა საჯარიმო შეასრულა, მეკარეს კი ბურთი აუხტა და კარში შეგორდა.

ავსტრალიელებმა მეორე ნახევრის დასაწყისში ბრეშიანოს პენალტით გაათანაბრეს.

მატჩის ბოლოს თურქებმა იძალეს. ჰასან შაში ძველებურად ყოჩაღობდა და „ბოსფორის ბუღად" წოდებულმა ჰაკან შუქურმაც მისი პასებით იხეირა. ჯერ ფეხით გაიტანა, შემდეგ კი ახლოდან თავური დარტყმით.

**ვაჟა ხუციშვილი**



REUTERS სიდნეიდან

ემრემ ავსტრალიელებს ფეხბურთი ანახა

**2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის I შესარჩევი ჯგუფი**

## ჩვენი მეტოქე

### ამხანაგური მატჩი

**ავსტრალია 1:3 თურქეთი**

0:1 უმით ოზატი (41), 1:1 ბრეშიანო (48პ), 1:2, 1:3 ჰაქან შუქური (68, 75)

თურქეთი: რუშთუ, ბიულენთი, სერქანი (სერჰათი 57), სეიჰანი, დენიზი (იბრაჰიმი 85), უმით ოზატი, ემრე (მურატი 89), ოკანი, ჰასან შაში, ჰაქან შუქური, თუნქჩაი სანლი (გიუნეში 57)

მწვრთნელი: ერსუნ იანალი

28 326 მაყურებელი

### ავსტრია

პირველი დივიზიონი
XXXVI ტური

ბლაიზერგი 0:5 უნტერზიბენბრიუნი
ლუსტენაუ 1:6 კაპფენბერგი
ლინცერი 6:2 ტიროლი
ლეობენი 1:3 აუსტრია (ლ)
ვიორგლი 0:2 რიდი

### გერმანია

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
XXXII ტური

ვერდერი (მ) 0:4 დინამო

სამხრეთ რეგიონალლიგა
XXXII ტური

ოფენბახი 2:3 ელვერსბერგი
ზიგენი 0:0 პფულენდორფი

### სლოვენია

სი მობილ ლიგა
პლეი აუტი

დომჟალე 2:2 შმარტნო
ლიუბლიანა 2:1 პუბლიკუმი

### პოლონეთი

პირველი ლიგა. XXIV ტური

ლეჩნა 0:1 ვისლა

### ისლანდია

პრემიერდივიზიონი
II ტური

ვიკინგური 0:1 აკურეირი

### ირლანდია

პრემიერლიგა. XII ტური

კორკ სიტი 1:0 ლონგფორდი
შემროკი 1:0 დერი სიტი
დროჰედა — შელბურნი
გადაიდო
ბოჰემიანსი — სენტ პატრიკსი
გადაიდო

### საფრანგეთი

პირველი დივიზიონი. XXXVIII ტური

ბორდო 1:3 მონაკო

**საქართველოს ჩემპიონატი. პირველი ლიგა. მეორე წრე. 15. 29 ტური**

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

# საფინალო სასტვენი

## გამოეკიდე საკუთარ თავს

**კოტე კეკელია ლანჩხუთიდან**

ლანჩხუთი. 21 მაისი. 18 საათი. ევგრაფი შევარდნაძე. 450 მაყურებელი

### გურია 1:0 ამერი

1:0 ტ. კუკულაძე (73)

გურია: ჩომახიძე, რ. კუკულაძე, თოფურია (ან. განევი 90), ებრალიძე (იმნაიშვილი 27), ფაცურია, ხუნაშვილი, სულაკაძე, ალ. განევი, ტ. კუკულაძე, ენდელაძე (დოლიძე 89), კოტრიკაძე
მწვრთნელი: თემურ ლორია

ამერი: ასლანაძე, კედელაშვილი, დავითნიძე, ელბაქიძე, სილაგავა, ვერემჩუკი, გარუჩავა, განუგრავა (გოცირიძე 84), ხუბუა (წინამძღვრიშვილი 87), რუსია, კაიდარაშვილი
მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე

გაფრთხილება: ხუნაშვილი (6), დავითნიძე (10), თოფურია (42), კაიდარაშვილი (76), ენდელაძე (81)

გაძევება: ვერემჩუკი (59)

მსაჯები: ს. კვარაცხელია; ზ. ერქვანია, ბ. ცირდავა; დ. კვეტენაძე

**მატჩი** დაძაბული და უშეღავათო რომ იქნებოდა, ეჭვი არავის ეპარებოდა, მაგრამ საქმე მსაჯზე გამოდევნებამდე თუ მივიდოდა, ძალიან ძნელი წარმოსადგენი იყო. გარდამტეხი მომენტი 58-ე წუთზე დადგა, როცა მამუკა რუსიას გოლი არ ჩაუთვალეს — თანამსაჯმა ბაჩუკი ცირდავამ ალამი აღმართა. მერე კი დაიწყო...

თუმცა, სჯობს, თავიდან მოვყვეთ...

„გურიასაც" და „ამერსაც" მხოლოდ მოგება აძლევდათ ხელს. თბილისელებს წაგების შემთხვევაში აღარაფერი შველოდათ, პირველი ლიგიდან ვარდებოდნენ, ფრე კი მცირე თეორიულ შანსსლა უტოვებდათ. გურულებს საქმე ოდნავ უკეთ ჰქონდათ, მაგრამ ვერმოგება გავარდნის მთავარ კანდიდატად აქცევდათ. ასე რომ, ამ მატჩის მნიშვნელობა ძალიან დიდი იყო.

თამაში მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო. საწყის ოც წუთში ბურთი მეტწილად ამერელთა ნახევარზე ტრიალებდა, თუმცა ნაღდ საგოლე მომენტებამდე საქმე არ მისულა. ისე, ორ ეპიზოდში მასპინძლებს კარში დარტყმა რომ მოეხერხებინათ, ეგებ გოლსაც გამორჩენოდნენ — ზვიად ენდელაძის სახიფათო ჩაწოდება „ამერის" მეკარე დავით ასლანაძემ ჩაჭრა, მერე კი, სწრაფად გათამაშებული საჯარიმოსას, კარის წინ დარჩენილ თავდამსხმელს გიორგი დავითნიძემ ბურთი აართვა. ამერელები კი გრძელი, მაღალი გადაცემებით ცდილობდნენ კაიდარაშვილის და რუსიას საგოლე პოზიციაზე გაყვანას, მაგრამ ან პასი არ ვარგოდა, ან მცველები ყოჩაღობდნენ.

მეოცე წუთისთვის ვითარება საპირისპიროდ შეიცვალა და თამაში „ამერის" კარნახით გაგრძელდა. შემობრუნება გიორგი განუგრავას წამოწყებულ კომბინაციას მოჰყვა — მან ფლანგზე გაჭრილ გელა ხუბუას უზუსტესი პასი გაუჭრა, ხუბუამ კი ბურთი საჯარიმოში ჩაჰკიდა, სადაც კაიდარაშვილმა სასწაულით ვერ შეძლო თავურით ანგარიშის გახსნა.

ამ მომენტიდან წუთიც არ იყო გასული, რომ რუსიას მეკარესთან პირისპირ გასვლა შეეძლო, მაგრამ ზედ საჯარიმოს ხაზთან ბურთი ფეხებში აებლანდა, წონასწორობა დაკარგა და წაიქცა. საუკეთესო შანსი კი „ამერს" 28-ე წუთზე მიეცა. ხუბუას ჩაწოდებულ ბურთს მეკარის ბაქანში უმეთვალყურეოდ მყოფმა დავითნიძემ თავი ლონივრად დაჰკრა და უბედობით ბურთი მეკარე ჩომახიძეს ვერ ააცილა. არადა, დავითნიძეს სამი დღით ადრე ვაჟის შეძენა გოლითაც შეეძლო აღენიშნა.

პირველ ტაიმში მეტნაკლებად გამოსარჩევი მომენტი ლანჩხუთელი ირაკლი ფაცურიას საჯარიმო დარტყმალა იყო, როცა ბურთი ოდნავ გადასცდა კარს და გუნდები შესვენებაზე გავიდნენ.

მეორე ტაიმი ისევ ამერელთა უპირატესობით დაიწყო, რასაც მასპინძელთა ნაადრევმა გადაღლამაც შეუწყო ხელი. მალე კი თავში ნახსენები 58-ე წუთიც დადგა.

ალექსანდრე კაიდარაშვილი ორი ლანჩხუთელის გარემოცვაში მოექცა, მაგრამ თავი დაიძვრინა და რუსიას პასი მისცა. რუსია გაიჭრა და გაიტანა, ამ დროს კი არბიტრმა სერგო კვარაცხელიამ, ცენტრისკენ შემობრუნებას რომ აპირებდა, თანამსაჯის აღმართულ ალამს გახედა და ვოლი გააუქმა. ტრიბუნიდან ისე ჩანდა, რომ კაიდარაშვილის პასისას რუსია მცველზე თვალშისაცემად უკან იდგა და თანამსაჯი შეცდა. ასე მოეჩვენათ ამერელებსაც, მაგრამ საქმე ჩვეულებრივ გაპროტესტებაზე შორს წავიდა და დიმიტრი ვერემჩუკი, მერე კი სხვა ამერელებიც ცირდავასთან მიიჭრნენ. თამაში ერთი-ორი წუთით შეჩერდა, ვერემჩუკმა კი თანამსაჯის შეურაცხყოფისთვის წითელი ბარათი მიიღო.

თამაში უკიდურესად ნერვული გახდა, უხეშობამ იმატა და გაფუჭდა. თუმცა რამდენიმე გამოსარჩევი მომენტი კიდევ იყო. იმავ რუსიას ლანჩხუთელმა მეკარემ ბურთი საჯარიმოს წინ ჩააბარა, თავდამსხმელს კი დარტყმა არ გამოუვიდა. ბოლო წუთებზე რუსიას კიდევ ერთი მომენტი ჰქონდა, გატანა რომ შეეძლო და ისევ უხეიროდ დაარტყა. ამ მომენტებს შორის კი „გურიამ" გოლი გაიტანა, რომლითაც პირველ ლიგაში ადგილი შეინარჩუნა. ერთ-ერთი იერიშისას ამერელებმა ბურთი საჯარიმოდან უხეიროდ ამოიტანეს, მასპინძლებმა ხელმეორედ შეუტიეს და ტარიელ კუკულაძემ ახლო მანძილიდან თავურით გაიტანა.

საფინალო სასტვენის მერე კი ამერელები ცირდავას გამოუდგნენ და მსაჯმა დროულად შეაფარა თავი გასახდელს. მერე მოედანზე მაყურებლებიც შეიჭრნენ, ერთი ქვა „ამერის" ავტობუსსაც მოხვდა...

რა შეგვიძლია დავამატოთ. თანამსაჯი შეცდა და ის გოლი რომ ჩათვლილიყო, „ამერი" პირველ ლიგაში ადგილს ალბათ შეინარჩუნებდა. მაგრამ ისიც სათქმელია, რომ გუნდს ბოლო ოთხ მატჩში გოლი არ გაუტანია, არადა, რამდენიმე ბრწყინვალე შანსი ჰქონდა. ეს კი მსაჯის ბრალი აღარ არის.



ბადრი [illegible] ფოტო

ცხინვალი 3:0 ლოკომოტივი 2

ივერია 0:1 ქობულეთი

ლუკა 1:9 თსუ

სამგურალი 2:0 მეტალურგი

დინამო 2 1:3 ჩიხურა

ვიტ ჯორჯია მცხ. 1:0 რუსთავი

ოლიმპი 0:0 მილანი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქობულეთი | 29 | 18 | 4 | 7 | 52:27 | 58 |
| სამგურალი | 29 | 16 | 7 | 6 | 36:18 | 55 |
| დინამო 2 | 29 | 15 | 5 | 9 | 68:34 | 50 |
| მილანი | 29 | 14 | 7 | 8 | 36:25 | 49 |
| რუსთავი | 29 | 15 | 3 | 11 | 44:30 | 48 |
| ჩიხურა | 29 | 14 | 5 | 10 | 38:27 | 47 |
| ოლიმპი | 29 | 13 | 8 | 8 | 36:31 | 47 |
| ცხინვალი | 29 | 13 | 7 | 9 | 44:23 | 46 |
| გურია | 29 | 13 | 6 | 10 | 36:34 | 45 |
| თსუ | 29 | 12 | 8 | 9 | 54:29 | 44 |
| ვიტ ჯორჯია-მცხ. | 29 | 12 | 8 | 9 | 30:20 | 44 |
| ამერი | 29 | 11 | 7 | 11 | 31:24 | 40 |
| ივერია | 29 | 11 | 6 | 12 | 28:37 | 39 |
| ლოკომოტივი 2 | 29 | 6 | 1 | 22 | 21:77 | 19 |
| ლუკა | 29 | 5 | 1 | 23 | 29:82 | 16 |
| მეტალურგი | 29 | 2 | 1 | 26 | 18:85 | 7 |

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
მეორე ეტაპი
15
10 ტური

# ვიტ ჯორჯია: ნუ ინერვიულებთ, ჩემპიონები ჩვენ გავხდებით

## ლოკომოტივი: 400 ლარად თავს მოვიკლავთ

*დავით თავართქილაძე*

მაშ ასე, „ვიტ ჯორჯიას" ახლა ისეთი საჩემპიონო შანსი აქვს, აქამდე არასდროს რომ არ ჰქონია, მაგრამ მის წინ დღეს „ლოკომოტივი" აისვეტება, გუნდი, რომელიც ძალიან კარგად იცავს თავს.

დღეს „შევარდენზე" ტურის კი არა, მეთხუთმეტე ეროვნული ჩემპიონატის მთავარი მატჩია — ამ შეხვედრისგან ელიან ახალ ჩემპიონს, თუმც, ვინ იცის, იქნებ საჩემპიონო თამაში ავლაბარში ან გორში გაიმართოს, მაგრამ ჩემპიონობის ფავორიტი საღამოს რვა საათამდე „ვიტ ჯორჯიაა".

*მერაბ კოჭლაშვილი:* ეს ჩვეულებრივი თამაში არ არის, მაგრამ ჩვენ ამ მატჩისთვის ჩვეულებრივად ვემზადებით. ტრავმები არ არის, მაგრამ დისკვალიფიკაციის გამო დავით იმედაშვილი არ გვეყოლება. განწყობა კი საჩემპიონოა.

*ლაშა ნოზაძე, „ვიტ ჯორჯიას" კაპიტანი:* წინა ტურში „დინამოსთან" გამარჯვებამ დიდი სტიმული მოგვცა და იდეალურ განწყობაზე ვართ. „ლოკომოტივი" ახლა კარგ ფორმაშია, მაგრამ ჩვენ გამარჯვების იმედი გვაქვს, ეს გადამწყვეტი მატჩია და რადაც უნდა დაგვიჯდეს, უნდა მოვიგოთ.

*კოჭლაშვილი:* ახლა უფრო ძნელი მატჩი გველის, ვიდრე „დინამოსთან", რადგან „ლოკომოტივი" დაცვაში „დინამოზე" უკეთესად თამაშობს, მაგრამ არავის უნდა ჰქონდეს იმის იმედი, რომ ამ მატჩიდან ვილაცას რაღაცას გავატანთ — ვინც უნდა იყოს, ამის არანაირი შანსი არ აქვს. ძმა რომ ძმაა, იმასაც არაფერს დავუთმობთ, ისე გვინდა მოგება.

— დაძაბული თამაში იქნება, მაგრამ ეს ჩვენზე უარყოფითად არ იმოქმედებს. „დინამოსთან" პირველ წუთებზე რევაზ გოცირიძემ კარგი საგოლე მომენტი გააცუდა, მაგრამ მერე ორი გოლი გაიტანა. ასე რომ, თუ მალევე ვერ გავიტანთ გოლს, ამან არ უნდა დაგვძაბოს.

— მხოლოდ ჩვენი კი არა, ბევრის აზრია — ამ ჩემპიონატში ყველაზე მეტად ჩემპიონობას „ვიტ ჯორჯია" იმსახურებს და მჯერა, რომ ფორტუნა ჩვენსკენ იქნება. ჩვენი გულშემატკივრები ნუ ინერვიულებენ, აუცილებლად გავიმარჯვებთ.

ბოლო ტურში ზეექვსეულში ისეთი თამაშებია, გინდა, არ გინდა, ბევრი რამ მსაჯობაზეცაა დამოკიდებული. ვინ განსჯის სამ გადამწყვეტ მატჩს? აი, კითხვა, რომელზეც პასუხი თამაშის დაწყებამდე საათნახევრით ადრე არავის ექნება (ყოველშემთხვევაში, არ უნდა ჰქონდეს). ბოლო ტურის ციებ-ცხელების ჩასაცხრობად პროფლიგამ და სამსაჯო კომიტეტმა ასეთი გზა არჩიეს: ზეექვსეულის სამივე თამაშის მსაჯთა ბრიგადები დღეს ორ საათზე გაირკვევა. ბუნებრივია, თითოეულ თამაშზე ოთხ-ოთხი თემიდელი გაეგმზავრება, აქედან ორ-ორი თანამსაჯი იქნება, ორ-ორსაც მთავარი არბიტრობის თანაბარი შანსი ექნება. ეს ხალხი ხუთის ნახევარზე, ანუ მატჩის დაწყებამდე საათნახევრით ადრე მიიღებს დირექტივას „ზემოდან" და მაშინღა გახდება ცნობილი მოედანზე გამსვლელ არბიტრთა ვინაობა.

### ვიტ ჯორჯია თბილისი

#### სავარაუდო შემადგენლობა

22 მარცვალაძე, 11 გოცირიძე, 7 ადამია, 9 ლ. ნოზაძე, 20 დათუნაშვილი, 10 გ. გოჩაშვილი, 18 დიღმელაშვილი, 21 გველესიანი, 4 კობიაშვილი, 24 ინწკირველი, 1 მერლანი



მერაბ კოჭლაშვილი

*ეს ჩვეულებრივი თამაში არ არის, მაგრამ ჩვენ ამ მატჩისთვის ჩვეულებრივად ვემზადებით. დისკვალიფიკაციის გამო დავით იმედაშვილი არ გვეყოლება. მხოლოდ ჩვენი კი არა, ბევრის აზრია — ყველაზე მეტად ჩემპიონობას „ვიტ ჯორჯია" იმსახურებს და მჯერა, რომ ფორტუნა ჩვენსკენ იქნება.*



თბილისი
შევარდენი
22 მაისი
18 საათი

### ლოკომოტივი თბილისი

#### სავარაუდო შემადგენლობა

26 მიქაძე, 13 სოსელია, 20 სანიკიძე, 5 გიგუა, 10 მანწკავა, 15 გ. ონიანი, 3 ორბელაძე, 6 ზამთარაძე, 4 სალუქვაძე, 25 ი. გაშაკიძე, 1 მამალაძე

*თუ ვინმე „ლოკომოტივს" პრემიას დაპირდება, ვფიქრობ, ეს მიუღებელი არაა, მაგრამ ჩვენი ფეხბურთელები ისედაც თავს მოიკლავენ ამ შეხვედრაში. არჩილ სახვაძე სამი ყვითლის გამო მოგვაკლდება. მცირე ტრავმა აქვს ლაშა სალუქვაძეს, მაგრამ ალბათ მაინც ითამაშებს.*



ზაურ სვანაძე

— ისიც უნდა ვთქვა, რომ ლაშა ნოზაძე გუნდის ნამდვილი კაპიტანია და „ვიტ ჯორჯია" მეგობრული გუნდი რომაა, ამ ფაქტორსაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. „ვიტ ჯორჯიას" ფეხბურთელები კარგა ხანია, ერთად არიან, ზოგი ბავშვობიდან ერთად მოდის და ამ მატჩში ერთმანეთის გულისთვისაც ითამაშებენ.

— კლუბის პრეზიდენტ გურამ რუხაძესთან „დილასთან" თამაშის მერე არ მისაუბრია. თუმც ჩემპიონობისთჳის თუ უეფას თასის საგზურის მოპოვებისთვის გარკვეული თანხები უკვე დაწესებულია და ფეხბურთელებმა ყველაფერ ამის შესახებ იციან.



დიდი შანსია, დავით დიღმელაშვილი დღეს საქართველოს ჩემპიონი გახდეს

*ზაურ სვანაძე:* ჩვეულებრივად ვემზადებით, ეგაა, არჩილ სახვაძე სამი ყვითლის გამო მოგვაკლდება. მცირე ტრავმა აქვს ლაშა სალუქვაძეს, მაგრამ ალბათ მაინც ითამაშებს. ჩვენ არავის არაფერს დავუთმობთ.

— ხმები დადის, „დინამო" ლოკომოტიველებს პრემიებს დაჰპირდება, „ვიტ ჯორჯიას" მაგრად ეომეთო...

— არაფერი გამიგია.

— მისაღებად თვლით იმას, თუ „ლოკომოტივს" პრემიას სხვა კლუბი შესთავაზებს?

— თუ ვინმე „ლოკომოტივს" პრემიას დაპირდება, ვფიქრობ, ეს მიუღებელი არაა, მაგრამ ჩვენი ფეხბურთელები ისედაც თავს მოიკლავენ ამ შეხვედრაში.

— როგორ ფიქრობთ, თუ ვინმე „ლოკომოტივის" ფეხბურთელებს პრემიას შესთავაზებს, ეს მალულად უნდა ხდებოდეს და „ლოკომოტივის" მწვრთნელმა არაფერი უნდა იცოდეს?

— ასეთ შემთხვევაში ყველამ ყველაფერი უნდა იცოდეს — მწვრთნელმაც, ჟურნალისტმაც და გულშემატკივარმაც.

— რაც უნდა იყოს, „ლოკომოტივი" უმოტივაციოდაა დარჩენილი — ასეთ დროს თქვენთვის ძნელი არ არის ფეხბურთელთა მოტივირება?

— ეს ძნელი არაა, რადგან არაერთ ფეხბურთელს თავისი აქვს დასამტკიცებელი, ზოგიერთ ლოკომოტიველს კი უკეთეს გუნდში უნდა გადასვლა და ასეთ გადამწყვეტ მატჩში თავს თუ გამოიჩენს, ამის შანსი უფრო გაეზრდება.

— ფინანსურად თუ არიან დაინტერესებული ფეხბურთელები ამ თამაშში?

— რამდენადაც ვიცი, ფეხბურთელებს რაც ადრე ჰქონდათ, ისევ ის პრემია ექნებათ მოგებისთვის — 400 ლარი.

— 400 ლარი პრემია ასეთი მნიშვნელობის მატჩისთვის ეჭვის საფუძველს ხომ არ გააჩენს?

— ეჭვის საფუძველს არავის მივცემთ. როცა ბოლნისში „სიონს" ფრე ვეთამაშეთ, „დინამოდან" ერთი კარგი სიტყვაც არავის უთქვამს „ლოკომოტივისთვის".

— „ვიტ ჯორჯიასთან" წარმატებით თამაშს როგორ აპირებთ?

— მხოლოდ დაცვის ხარჯზე არ ვაპირებთ თამაშს, შეტევაშიც წავალთ, ალბათ ორ ფორვარდს დავაყენებთ.

ბათუმი. 22 მაისი. 18 საათი. დინამო

### ბათუმი — კოლხეთი

## დუელი ზღვაზე ფეირ პლეიმ უნდა მოიგოს

**ზღვისპირეთში** არცთუ პატარა პაექრობაა — აჭარელები კოლხებს მასპინძლობენ და თუ სტუმრებს ფოთში ხელცარიელს გაუშვებენ, ვინძლო „კოლხეთი" პირველლიგელთან გადათამაშებაში მოჰყვეს.

„ბათუმს" გადათამაშება უკვე „განაღდებული" აქვს, მაგრამ სხვისთვის ხელის შეშლა და ცხოვრების გართულება მართლაც შეუძლია. ეგრეა, ქვედა ექვსეულის მატჩებზეც მახვილი თვალია საჭირო, ჩაწყობა-გარიგებები რომ არ მოხდეს.

„კოლხეთი" მდევრის, „მცხეთას" სუნთქვას გრძნობს და მცხეთელებს დღეს „მერცხალის" ძლევა არ უნდა გაუჭირდეთ. ასე რომ, ქვედა ექვსეულის მთავარი მატჩი ბათუმშია.

ბათუმშია „კოლხეთის" პრეზიდენტი, ფოთის პორტის უფროსი ჯემალ ინაიშვილიც, ვინც აჭარაში ახალშექმნილი საკოორდინაციო საბჭოს წევრია, მაგრამ ფეხბურთმა განა რაგინდარა თანამდებობა უნდა იცოდეს?! მოკლედ, ფეირ პლეი, ბატონებო!

**პაატა ქვანტალიანი**

სეზონის უმთავრესი მატჩი აქვს „დინამოს" გორში. თამაშის წინ ორივე ბანაკში საომარი ვითარება ჩანს. ბუნებრივია, გუშინ „დინამოს" თავკაცთან გია გეგუჩაძესთან ინტერვიუც გვსურდა, მაგრამ „დინამოს" პრესატაშე ლევან სალუქვაძის თქმით, გეგუჩაძეს მობილური გაფუჭებია, „დინამო" კი დილმის ბაზაზე ისეა ჩაკეტილი, ჩიტიც ვერ შეფრინდება მწვრთნელ-ფეხბურთელებთან. კლუბის პრესატაშემ კი „დილასთან" მატჩის წინ ასეთი კომენტარი გააკეთა — ჩვენთვის ბოლო ტურების თითოეული მატჩი ფინალის ტოლფასი იყო, „დილასთან" თამაშს კი ორმაგად დიდი ფასი აქვს, რაკილა მხოლოდ „დილას" დამარცხება ვერ მოგვიტანს ჩემპიონობას, დამოკიდებული ვართ კონკურენტთა მატჩებზეც და ამ დროს მხოლოდ იმის იმედი გვაქვს, რომ „ვიტ ჯორჯია" და „სიონი" პატიოსნად ითამაშებენ

## დილა გორი

### სავარაუდო შემადგენლობა

19 ძოძუაშვილი, 10 ბ. ჩიტაია

9 სულთანიშვილი, 14 შატაკიშვილი, 20 რაზმაძე

4 ლომიძე, 5 ლაცაბიძე

2 ბალაშვილი, 3 ხაჭაპურიძე, 21 ლ. გოჩაშვილი

1 სოლოღაშვილი



ზურაბ ხორგუაშვილი

*„დინამოსთან" ძველი ანგარიშები გვაქვს, თავს არ დავზოგავთ, შევჭამთ მეტოქეს, ჭორის საბაბსაც კი არავის დავუტოვებთ. „დილას" არც ერთი თამაში არ ჩაუწყვია და არც ერთ მეტოქეს არ მოვრიგებივართ. ასეთ რამეს ჩვენს თავს არ ვკადრებთ.*



გორი
თენგიზ ბურჯანაძე
22 მაისი
18 საათი

## დინამო

### სავარაუდო შემადგენლობა

21 კვალაძე, 18 მელქაძე

6 კვირკველია, 10 ანჩაბაძე, 9 ახალაია

25 რომერო, 27 ნემსაძე

3 კანდელაკი, 14 სილაგაძე, 5 შაშიაშვილი

1 ზოიძე



გია გეგუჩაძე

# დინამო რა, ვაშლია?!



ბექა ჩიტაია ირაკლი ზოიძის კარში გატანას დღესაც შეეცდება

*„დილა" ზეექვსეულის ერთადერთი გუნდია, რომელსაც მოგება არ უნახავს და საამისოდ დღეს ბოლო შანსი აქვს, თუმც იოტისხელა, რაკილა ჩემპიონობისთვის მებრძოლი „დინამო" ჰყავს მეტოქედ. „დილას" თავკაცი ზურაბ ხორგუაშვილი იმას იმეორებს, რასაც წინა მატჩებზე ამბობდა — მოსაგებად გავალთ მოედანზე, „დილას" ყველა ფეხბურთელი მწყობრში ჰყავს და თითოეული მათგანი „დინამოსთან" თავს გაიგიჟებსო*

— ამბობენ, „დილა" უმოტივაციოა და „დინამოს" სათანადო წინააღმდეგობას ვერ გაუწევსო...

— რას ნიშნავს უმოტივაციო? რატომღაც ჟურნალისტებმა აიტაცეთ, რომ „დილა" უმოტივაციოდ თამაშობს. არ ვიცი, ვინ რას ფიქრობს, მაგრამ ვთვლი, რომ მოტივაციის ნაკლებობას ნაღდად არ ვუჩივით. ჯერ ერთი, ჩემს ფეხბურთელებს ყოველთვის სოლიდური პრემია აქვთ მოგებაზე, თანაც, რომ თამაშობ, ეს უკვე მოტივაციაა. სპორტსმენი, ფეხბურთელი ასე უნდა ფიქრობდეს, ყოველ შემთხვევაში, მეც და ჩემი ბიჭებიც ამ განწყობით გავდივართ თითოეულ მატჩზე.

— „დინამოსთანაც" ასე იქნება?

— რა საკითხავია... ვიცი, ბევრჯერ მსმენია, „დილას" თავი ქუდში აქვს და კარგი შანსიც, მეტოქეებს გაურიგდესო, მაგრამ თუნდაც ერთი თამაში დამისახელეთ, ბოლომდე რომ არ გვებრძოლოს. „დინამოსთან" ძველი ანგარიშები გვაქვს, თავს არ დავზოგავთ, შევჭამთ მეტოქეს, ჭორის საბაბსაც კი არავის დავუტოვებთ.

— მიუხედავად ამისა, დღესდღეობით ძალიან აქტუალურია ჩაწყობილ-გარიგებული თამაშების თემა...

— ჩემი აზრით, შედარება არ არის წინა წლებთან. ამ სეზონში იშვიათია ჩაწყობილი თამაშები.

— ესე იგი, მაინც ხდება ჩაწყობა...

— „დილას" არც ერთი თამაში არ ჩაუწყვია და არც ერთ მეტოქეს არ მოვრიგებივართ. ასეთ რამეს ჩვენს თავს არ ვკადრებთ. სპორტული პრინციპები ჩემთვის უმთავრესია და ვიდრე ამ გუნდში ვარ, ჩემს პრინციპებს არ ვუღალატებ.

„დინამო" დღეს სამ ფეხბურთელს მოისაკლისებს. სანდრო იაშვილის საკითხი აქამდეც გარკვეული იყო, მას დისკვალიფიკაცია აქვს. ლადო ბურდული და ჯაბა კანკავა კი ტრავმის გამო ვერ ითამაშებენ. კანკავამ „ვიტ ჯორჯიასთან" წინა ტურში ტვინის შერყევა მიიღო, ბურდულს კი ძველი ტრავმა გაუმიზეზდა. სანაცვლოდ, სადღეისოდ მწყობრშია გიორგი ნემსაძე, რომელიც, სავარაუდოდ, ძირითად შემადგენლობაში იქნება, შესაძლოა, დღეს ძირითადშივე ითამაშოს ბრაზილიელმა კარლოსმაც.



სანდრო იაშვილი (№20) დღეს ვერ ითამაშებს



თასის გორული ნახევარფინალი „დინამოს" გოლის მერე ერთი ხანობა შეწყდა კიდეც

ოზურგეთი. 22 მაისი. 18 საათი. ცენტრალური

## მერცხალი — მცხეთა

# ვამბობთ ოზურგეთს, ვგულისხმობთ ბათუმს





მწვრთნელები: „მერცხალი" — კუკუ ათუაშვილი, „მცხეთა" — ჯანო ფოფხაძე

**დღეს** „მერცხალის" რექვიემია. ოზურგეთელები „მცხეთასთან" თამაშის შემდეგ ოფიციალურად დაემშვიდობებიან უმაღლეს ლიგას. აფერუმ, გურულებს, ყველასგან მიტოვებულებმა, ენთუზიაზმის ამარა დარჩენილებმა ბევრი იწვალეს და ჯახირ-ჯახირით მაინც ჩაამთავრეს ჩემპიონატი. „მერცხალის" ყოფა ხელოვნურ აპარატზე შეერთებული სულთმობრძავისას ჰგავდა. ოზურგეთულ გუნდს ჯერ კიდევ პირველი ეტაპისთვის არ უჩანდა საუმაღლესლიგო პირი.

დღევანდელ მატჩში „მერცხალი" უმოტივაციოა, მაგრამ თამაშს დიდი მნიშვნელობა აქვს მისი მეტოქისთვის. „მცხეთას" უმაღლესში პლეი ოფის გვერდის ავლით დასარჩენად ამ თამაშის მოგება უეჭველად სჭირდება, თუმც მიზნის მისაღწევად მხოლოდ ეს არ არის საკმარისი. მცხეთელთა ბედი ზღვისპირულ დერბიზეც ჰკიდია. თუ „კოლხეთმა" „ბათუმის" დამარცხება შეძლო, მცხეთელთათვის ოზურგეთში მოგებას კაპიკის ფასი ექნება — პლეი ოფს ვერ ასცდებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რაღაც მართლა ხდება...

*ბაჩა ზალამბერიძე*

სატურნირო ცხრილს თუ ჩავხედავთ, „თბილისი“ — „სიონზე“ შესაძლოა, ჩემპიონობის ბედიც ეკიდოს — ბოლნისელები ხომ „ვიტ ჯორჯიასთან“ ერთად ლიდერობენ ჩემპიონატს. ეგაა, მასპინძლები უმოტივაციოდ არიან, თუმც „თბილისის“ თავკაცობა ირწმუნება, მეტოქეს გოჯს არ დავუთმობთ და კუდით ქვას ვასროლინებთო.

„სიონში“ კი საგანგებო მდგომარეობაა. გუნდს რაიონის გამგებელი და კლუბის ხელმძღვანელები ესაუბრნენ და მოგების შემთხვევაში პრემიებსაც დაჰპირდნენ, თან თითიც დაუქნიეს — თამაშამდე პრესასთან ურთიერთობას მოერიდეთო და სიონელებმაც პირი „ამოიკერეს“. ჩვენც მეტი რა დაგვრჩენია — სათქმელ-სათამაშოს დღეს „ისანზე“ ვნახავთ.

თბილისი — თბილისი

საქართველოს პროფესიონალური ფეხბურთის ლიგა

სიონი — ბოლნისი

## სავარაუდო შემადგენლობა

21 ფიფია, 14 გ. ნოდ. ჭელიძე

10 ხოჯავა, 11 აფციაური

19 ჯიქია, 6 მესხი, 18 ოდიკაძე

20 ელიავა, 7 კვარაცხელია, 22 ქემოკლიძე

1 გრიშიკაშვილი



გიორგი დევდარიანი

*როგორც ყველა თამაშის წინ, ისე ვემზადებით „სიონისთვისაც“. ბიჭები ჯანზე არიან, მხოლოდ გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძეს აქვს მცირე ტრავმა. ჩვენი მიზანი ყველა თამაშში რაღაც ახლის ძიებაა და ახლაც ასე იქნება. ასე რომ, სეზონი კარგად უნდა დავასრულოთ. მეტი არაფერი დაგვრჩენია.*



თბილისი
ისანი
22 მაისი
18 საათი

## სავარაუდო შემადგენლობა

20 გონჩაროვი

16 შენგელია

26 რ. ონიანი, 13 გაბისკირია, 15 ალადაშვილი

7 სიჭინავა

2 გილაური, 8 ჭიჭველიშვილი, 3 ბურნაძე, 5 ბაქრაძე

12 ლაბაძე



თემურ მახარაძე

*გიორგი დევდარიანი:* როგორც ყოველთვის, ისე ვემზადებით „სიონისთვისაც“. ბიჭები ჯანზე არიან, მხოლოდ გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძეს აქვს მცირე ტრავმა. ჩვენი მიზანი ყველა თამაშში რაღაც ახლის ძიებაა და ახლაც ასე იქნება. ასე რომ, სეზონი კარგად უნდა დავასრულოთ. მეტი არაფერი დაგვრჩენია.

— რა არის ბოლო ტურში „თბილისის“ მოტივაცია?

— ჩვენთვის ყველა თამაში თავისთავად მოტივაციაა. მართალია, სეზონს ისე ვამთავრებთ, რომ უფრო სერიოზულ წარმატებას ვერ მივაღწიეთ, მაგრამ მე სხვა რამ მაინტერესებს. რასაც ვარჯიშებზე ვაკეთებთ და ვამუშავებთ, ის უნდა ვნახო მოედანზე. ჩვენთვის ახლა ყველაზე მთავარია, ხარისხიანი ფეხბურთი ვაჩვენოთ. მაგალითისთვის „ვიტ ჯორჯიასთან“ და „დინამოსთან“ ჩვენი მატჩები ავიღოთ. პირველთან ფრედ ვითამაშეთ, მეორესთან კი წავაგეთ. მაგრამ უფრო მეტად „ვიტ ჯორჯიასთან“ მატჩზე დამწყდა გული. მათთან უკეთესი შედეგი გვქონდა, თუმცა უფრო ხარისხიანად „დინამოსთან“ წაგებულ მატჩში ვითამაშეთ.

— ბოლოხანს დიდი ხმაურია ჩაწყობილ თამაშებზე. თქვენ რისი თქმა შეგიძლიათ?

— რა უნდა ვთქვა?! ეს ისეთი ჭირია, რომ... ჩაწყობილი თამაშები არც ერთი ქვეყნისთვის არაა უცხო. იტალიაში და ინგლისში თამაშები თუ „კეთდება“, ამ ქვეყნების ფეხბურთი ამას აიტანს, იტალიაში, ინგლისსა და თუნდაც რუსეთში ისეთი დონისაა ფეხბურთი, რომ იქ ორ-სამ ჩაწყობილ თამაშზე თვალის დახუჭვა შეუძლიათ. ჩვენ კი... მივიდეთ იმ დონემდე და მერე არ იქნება ეს ამბები ასეთი საგანგაშო. მაგრამ რეალობა სხვანაირია: ქართული ფეხბურთი 40-50 წლით ჩამორჩება ამ ქვეყნებს და რა დროს ჩაწყობებზე ლაპარაკია?!

— ყველაზე საცოდავი ალბათ ქომაგია. ბოლო ხანს ჩემპიონატის მატჩებზე მაყურებელი აშკარად მომრავლდა და ამ დროს...

— გეთანხმებით. მე თბილისელი კაცი ვარ, აქ დავიბადე, გავიზარდე და აქ მოვკვდები. ცოტა ხნის წინ უბედნიერესი ადამიანი ვიყავი — ქუჩაში ხალხი მხვდებოდა და მეუბნებოდა, სტადიონს დავუბრუნდითო. ამ სიტყვების გაგონება მწვრთნელისთვის ბედნიერებაა. „თბილის“ — „დინამოს“ მატჩზეც ვთქვათ. არ მინდა, ისევ მსაჯის თემას დავუბრუნდე, მაგრამ მატჩის შემდეგ ფირზე ვნახე და დავრწმუნდი, რომ „დინამოს“ კარში პენალტი უნდა დანიშნულიყო. ბევრი ამბობდა, მესხმა კარგად იმსაჯა და მერე რა, ვინმემ რომ დააშინაო, მაგრამ არც ასეა საქმე. იმ მატჩში პენალტი რომ მოეცათ და უარეს შემთხვევაში ქულა აგვეღო, წარმოიდგინეთ, ბოლო ტურში რა ამბები, რა ინტერესი და აჟიოტაჟი იქნებოდა. ასეთი ბინძური საქმეები კი ისევ იმ ჭაობში გვაბრუნებს, სადაც ამ ცოტა ხნის წინ ვიყავით. რაღაც უნდა ვიღონოთ, თორემ მთლად დავიღუპებით.

— „სიონთან“ მატჩის წინ რაიმე შემოთავაზებასა ან წინადადებებზე თუ გსმენიათ?

— არ მინდა ამ თემაზე ლაპარაკი, მაგრამ... ბიჭებისგან ისეთ რამეებს ვისმენ, ყურებს არ ვუჯერებ. ასეთები თუ ხდებოდა, რას წარმოვიდგენდი. ვცდილობ, გუნდი ასეთ რამეებს მოვარიდო და ბიჭებიც ჩაკეტილი მყავს და თამაშამდე ასე იქნება.

— რაზე ამბობთ?

— ამას ვერ ვიტყვით. არ ვარ ის კაცი, სხვისგან გაგონილი გადაუმოწმებლად გავიმეორო, მაგრამ ოცი კაცისგან რომ ერთსა და იგივეს გაიგებ, ესე იგი, რაღაც მართლა ხდება. ძალიან მწყდება გული ამის გამო...

— რომელ გუნდებზეა ლაპარაკი, არც ეს იცით?

— ვიცი, მაგრამ ვერ გეტყვით. ნეტავ, ყველაფერი ისე არ დამთავრდეს, როგორც ამ ხალხს ჩაუფიქრებია. ძნელია, როცა კაცი ამდენს შრომობს, ნერვიულობს, ლამეებს ათენებს და ამ დროს ვილაცას ერთი ხელის მოსმით შეუძლია, ყველაფერი წყალში ჩაუყაროს. ახალგაზრდა კაცი ვარ, უმაღლეს ლიგაში სადებიუტო სეზონი მაქვს და ახლა ვხვდები, რა ყოფილა ეს ფეხბურთი. კი ვიცოდი, რომ ფეხბურთი მარტო 22 კაცის ბურთაობა არ იყო, მაგრამ... ასე თუ იქნებოდა, ნაღდად ვერ წარმოვიდგენდი. როდის მოეღება ბოლო ამ ბინძურ გარიგებებს?!



ბოლნისელ გიორგი შენგელიას დღეს გოჩა ხოჯავა (№10) უმასპინძლებს



„თბილისი“ ბოლოს ბოლნისელ ქომაგს ჩხუბით დაშორდა

# თბილისი ითამაშებს!

*ქართულ ფეხბურთში ისეთი ამბები გახმაურდა, გაგონებაც არ გინდა. ვინ ვისთანაა შეკრული, ვინ ვის აძლევს და ვინ ვის ქრთამავს, ვერ გაიგებ. აგერ, ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ტურიც მოგვადგა კარს და, ცხადია, ყველაზე დიდი ეჭვებიც ახლა ჩნდება.*

*ერთი სიტყვით, უკვე ყველასთვის კარგად ცნობილ მოვლენებზე „თბილისის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი მამუკა გუგეშაშვილი შეგვეხმიანა...*

— „თბილისს“ ახლა იდეალური შესაძლებლობა აქვს, სხვა დაინტერესებული კლუბისგან პრემიაც აიღოს და მისთვის საქმის გაკეთების სანაცვლოდ მომავალ სეზონში ექვსი ქულაც დაიბევოს, მაგრამ ხმამაღლა ვამბობ: ჩვენ არ ვიყიდებით. „თბილისი“ ბოლნისის „სიონთან“ ითამაშებს ისე, როგორც მის გულშემატკივარს, ხელმძღვანელობას, მწვრთნელ-ფეხბურთელებს და ბავშვთა საფეხბურთო აკადემიას ეკადრება.

— ფაქტია, „თბილისს“ ბევრი რამის გადაწყვეტა შეუძლია ბოლო ტურში...

— საერთოდ არ გვაინტერესებს, ვინ გახდება ჩემპიონი. ჩვენ მოედანზე გავალთ და მოვიგებთ. ყოველ შემთხვევაში, საამისოდ ძალებს ერთი პროცენტითაც არ დავზოგავთ.

— და მაინც, თქვენი აზრით, ვინ გახდება ჩემპიონი?

— „ვიტ ჯორჯია“. მეორეზე „დინამო“ გავა, მესამეზე კი „სიონი“.

ქუთაისი. 22 მაისი. 18 საათი. ტორპედო

## ტორპედო — სპარტაკი

# შუბლის ძარღვი: გაწყდება?

*დღეს „თბილისი“ ჩემპიონობის ერთ-ერთ პრეტენდენტ ბოლნისის „სიონს“ მასპინძლობს. ბოლნისელები მატჩისთვის იმდენად განსაკუთრებულად ემზადებიან, რომ ფეხბურთელებს მედიასთან ლაპარაკიც კი აუკრძალეს. ამიტომაც დღევანდელ მატჩზე და მის გარშემო ატეხილ აჟიოტაჟზე კომენტარი გუნდის უფროსს ბესო უგულავას და ბოლნისის გამგებელს ზვიად ვეშაპიძეს ვთხოვეთ*


ზვიად ვეშაპიძე

*ბესო უგულავა:* ზოგადად გუნდი საკმაოდ ძლიერი ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ იმყოფება. უდიდესი ყურადღება იგრძნობა როგორც გულშემატკივრების მხრიდან, ისე თქვენგან, ჟურნალისტებისგან. თავისთავად თამაშის მნიშვნელობაზე ლაპარაკი ზედმეტია. საჩემპიონო მატჩია და უნდა მოვიგოთ, აქ სხვა შედეგზე არცკი ვფიქრობთ.

— ასეთი თამაშის მოსაგებად ფეხბურთელებს სტიმული სჭირდებათ...

— რაიონის ხელმძღვანელობა და კლუბის მეპატრონეები „თბილისის“ დამარცხებისთვის საკმაოდ დიდ პრემიას გამოდიან. ასეთივე პრემია იქნება იმ საჩემპიონო პლეი ოფისთვის, რომელიც შეიძლება „ვიტ ჯორჯიასთან“ გვქონდეს. ვფიქრობ, ბიჭები საკმარისად მოტივირებულები არიან.

— ხომ არ შეგაფიქრიანათ იმან, რომ ერთმანეთზე წაკიდებული „თბილისი“ და „დინამო“ შერიგდნენ...

— ეს ქართველი კაცის ბუნებაა, გაბრაზებამ გადაუარათ და შერიგდნენ.

— გამორიცხავთ, რომ ერთმა გუნდმა მისი კონკურენტის მეტოქე ფინანსურად დააინტერესოს? გასაგებია, რასაც და ვისზეც გეკითხებით...

— ჩემი აზრით, ზედმეტი კითხვები ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოიხსნას. კი, ბატონო, იყოს შენი კონკურენტის ფინანსური ჯილდო, მაგრამ ეს ღიად უნდა ცხადდებოდეს, როგორც ევროპაშია და არა მალულად. მთავარია, კაცური მომენტები არ დავივიწყოთ.

— მოდით, ასე ვთქვათ: შედარებით მდიდარმა კლუბებმა შეიძლება მატერიალურად დააინტერესონ არცთუ დიდი შემოსავლის მქონე „სიონის“ ფეხბურთელები. ამის თავიდან ასაცილებლად რა მექანიზმი არსებობს?

— ერთადერთი დამცავი მექანიზმი კაცობაა. თუ ადამიანმა შუბლის ძარღვი გაიწყვიტა, ყველაფერი შეიძლება მოხდეს. მეც და რაიონის ხელმძღვანელებიც ჩვენს ფეხბურთელებს ყოველთვის გვერდში ვედექით და ვინმემ ასეთი დამოკიდებულება თუ ფულზე გაცვალა, არაკაცი იქნება.

— ზუსტად ამას ვგულისხმობ, არაკაცობას გამორიცხავთ?

— არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება.

— „თბილისთან“ მატჩი თუ ფეირ პლეის პრინციპის დაცვით ჩატარდა, გჯერათ თქვენი გუნდის წარმატების?

— თუ მსაჯობა ობიექტური იქნება და საეჭვოც არაფერი გაგვიხდება, „თბილისს“ ისე მოვუგებთ, რომ ჩვენს უპირატესობაში და უკეთეს გუნდობაში ეჭვს ვერავინ შეიტანს.

*ზვიად ვეშაპიძე:* ძალიან კარგად მესმის ამ მატჩის მნიშვნელობა და როგორც შეიძლება, ვცდილობ, ბიჭების გვერდით დავდგე. ისიც ვიცი, რომ ასე ახლოს მიზანთან არასოდეს ვყოფილვართ და მოგებით მთლიანად რეგიონში დიდი საქმე გაკეთდება. ძალიან მინდა, რომ ჩვენი ბედი სადღაც არ იყოს გადაწყვეტილი, მაინც პერიფერიული გუნდიაო, არ ითქვას და ამით არ დავიჩაგროთ. თუ ამგვარი მიდგომა არ იქნება, ვფიქრობ, შეგვწევს იმის ძალა, რომ ბოლნისს უდიდესი სიხარული ვაჩუქოთ.

— მნიშვნელოვან მატჩებს პრემიების გაზრდაც იგებს...

— ვიცი, რომ ბიჭებს არაფერი დააკლდებათ. საბედნიეროდ, ბოლო პერიოდში „მადნეულის“ ხელმძღვანელობაც გვერდში დაგვიდგა და უკვე თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ბიჭები სოლიდურ ჯილდოს მიიღებენ, ოღონდაც დაკონკრეტებას ნუ მომთხოვთ.

**დავით ერაძე**

# ყველაზე ქართული სიტყვა მოტივაცია

*„ვიტ ჯორჯია“ — „ლოკომოტივი“: ბოლო ტურის და ჩემპიონატის ერთობ მნიშვნელოვანი მატჩია, თუმც მნიშვნელოვანი მხოლოდ ერთი გუნდისთვის. „ვიტ ჯორჯიას“ უეჭველად მოგება სჭირდება ჩემპიონობისთვის, მის მეტოქეს კი თავი ქუდში აქვს. სატურნირო თვალსაზრისით „ლოკომოტივმა“ კარგა ხანია, სეზონი დაამთავრა, თუმც ერთი შეხედვით უმოტივაციო რკინიგზელები ფავორიტთა ჯალათებად იქცნენ და ორი კვირის წინ საბედისწერო ქულები დააკარგვინეს საჩემპიონოდ შემართულ „სიონს“, იმ მატჩის შემდეგ კი ხმა დაირხა, „დინამო“ რკინიგზელებს სოლიდურ პრემიას დაჰპირდა და ამიტომაც გაიგიჟეს თავი ბოლნისში ზაურ სვანაძის ბიჭებმაო.*

*დღეს „ლოკომოტივი“ „დინამოს“ კიდევ ერთ კონკურენტს ეთამაშება და, ბუნებრივია, ამ მატჩის წინაც ისეთივე მითქმა-მოთქმაა ატეხილი, ბოლნისურ თამაშამდე რომ იყო. ამასთან დაკავშირებით „ლოკომოტივის“ ერთ-ერთ წამყვან ფეხბურთელს ირაკლი ვაშაკიძეს შევეხმიანეთ...*

## პროგნოზები არ მკითხოთ


ირაკლი ვაშაკიძე (მარცხნივ) „ვიტ ჯორჯიასთან“ პატიოსნად თამაშს გვპირდება

— ჩემპიონატი მთავრდება, რა განწყობით გახვალ ბოლო ტურში „ვიტ ჯორჯიასთან“ სათამაშოდ?

— საბრძოლო განწყობით, ვთვლი, რომ პროფესიონალი ვარ და სხვაგვარად ვერ მოვიქცევი.

— სხვაგვარად მოქცევაში რას გულისხმობ?

— ვიცი, რასაც მეკითხები... მე სპორტსმენი ვარ და სპორტულ პრინციპებზე ვფიქრობ, „ლოკომოტივმა“ არაერთხელ დაამტკიცა, რომ სუფთაა და ბინძური წესებით არ თამაშობს.

— „ვიტ ჯორჯიასთან“ წარმატებით თამაშისთვის პრემია თუ გაქვთ დანიშნული?

— რა თქმა უნდა. როგორც აქამდე, ისე. წარმატებისთვის კლუბში დაპირებულ პრემიას მივიღებთ, მაგრამ გარწმუნებთ, აქ მარტო ფინანსური მოტივაცია არაფერ შუაშია, წმინდა სპორტული თვალსაზრისითაც, როგორც ყოველთვის, მონდომებულნი ვიქნებით მოედანზე. „სიონთან“ მატჩის წინაც დიდი მითქმა-მოთქმა იყო, მაგრამ გავედით, ბოლომდე ვიბრძოლეთ და მეტოქეს საბედისწერო ქულები დავაკარგვინეთ.

— მაშინ ითქვა, ლოკომოტიველებს სოლიდური პრემია ჩამოურიგეს დინამოელებმაო...

— აბსურდია. ასეთი რამ არ ყოფილა, არც მაშინ და არც არასდროს. ჩვენ დამატებითი შემოსავალი არ მიგვიღია. შემოთავაზების მცდელობაც კი არ ყოფილა „დინამოს“ ხელმძღვანელთაგან.

— ძველი დინამოელი ხარ და შენი ლოკომოტიველი თანაგუნდელების მსგავსად ბევრი მეგობარი გყავს „დინამოში“...

— „სიონშიც“ ბევრი მეგობარი მყავს. ფეხბურთელების მხრიდანაც არ ყოფილა საუბარი რაიმე გარიგებაზე, გარწმუნებთ, ჩვენ სუფთა თამაში ვითამაშეთ და „ვიტ ჯორჯიასთანაც“ ასე იქნება.

— რას ფიქრობ, ვინ გახდება ჩემპიონი?

— დარწმუნებული ვარ, „დინამო“ გორში მოიგებს. თბილისელებს „დილაზე“ კლასით მაღალი გუნდი ჰყავთ და ვფიქრობ, არ გაუჭირდებათ მოგება, ამიტომ ჩემპიონის ბედი „თბილისი“ — „სიონის“ და „ლოკომოტივ“ — „ვიტ ჯორჯიას“ მატჩზე იქნება დამოკიდებული. ძნელია ამ ორ თამაშზე პროგნოზის გაკეთება.

— ჩემპიონობას ყველაზე მეტად ვინ იმსახურებს?

— რთული შეკითხვაა... ალბათ სამივე გუნდი თანაბრად. „სიონმა“ „ვიტ ჯორჯიამ“ და „დინამომ“ ამ სეზონში თავი არ დაზოგეს. ვფიქრობ, სამივე იმსახურებს ჩემპიონობას, თუმც ეს შეუძლებელია. მათ შორის ვინც იპირველებს, დამსახურებული ჩემპიონიც ის იქნება.

**ბაატა ძვანტალიანი**


გიორგი ბალაშვილი (მარცხნივ) „დინამოს“ იმედიანი დაუხვდება

*თუ „ვიტ ჯორჯიამ“ და „სიონმა“ ვერ მოიგეს, მაშინ „დინამოს“ ძალიან კარგი შანსი მიეცემა გორში მეთოთხმეტედ გახდეს საქართველოს ჩემპიონი. ერთი სიტყვით, „დილა“ — „დინამოს“ ალმაცერად ვერ შევხედავთ. ვინძლო, საჩემპიონო მატჩი სწორედ გორში გაიმართოს. ინტერვიუ კი „დილას“ ერთ-ერთ წამყვან ფეხბურთელს გიორგი ბალაშვილს ჩამოვართვით.*

*— გავალთ და მხოლოდ მოსაგებად ვითამაშებთ — ბოლო ტურია და ამდენი წაგების შემდეგ როდესლაც ხომ უნდა გავახაროთ ჩვენი გულშემატკივარი...*

## დინამო და თერთმეტი გორელის თეორია

— მერედა, რამდენად რეალურად მიგაჩნია ის, რომ „დილა“ „დინამოსთან“ წარმატებით ითამაშებს?

— რატომ ვერ უნდა ვითამაშოთ წარმატებით?! გუნდი არ ვართ, თამაში არ შეგვიძლია თუ რა?! მე ვფიქრობ, შანსები 50/50-ზეა.

— გასაგებია, მაგრამ „დილა“, ფაქტობრივად, უმოტივაციოდაა...

— მოედანზე აუცილებლად საბრძოლველად გავალთ, ყოველგვარი მიცემ-მოცემა გამორიცხულია.

— „დილას“ ფინანსურად როგორ აქვს საქმე?

— რაც არის, იმას ყოველგვარი დაგვიანების გარეშე გვაძლევენ.

— „დინამო“ ჩემპიონობისთვის იბრძვის და თქვენ რის ხარჯზე აპირებთ მასთან თამაშს?

— ტაქტიკას მწვრთნელი გადაწყვეტს, მაგრამ ალბათ უკნიდან ვითამაშებთ, კონტრშეტევებზე თერთმეტი გორელი ხუმრობა არ არის, თანაც გულშემატკივრების მხარდაჭერის იმედიც გვაქვს.

— თერთმეტმა გორელმა თასის ნახევარფინალში „დინამოსთან“ თბილისშიც წააგო და გორშიც...

— ეს ჩვენი მხრიდან საგოლე მომენტების ვერგამოყენების ბრალია — ასე იყო თბილისშიც და გორშიც.

**დავით თავართქილაძე**

# 100 წლის ფეხბურთი ახალგაზრდაა

## ამხანაგური მატჩი

**პარიზი. სტად დე ფრანსი**
**საფრანგეთი 0:0 ბრაზილია**
**საფრანგეთი:** კუპე, ტურამი, ბოუმსონგი, დესაი (მენდი 46), გალასი, მაკელელე, ვიეირა, ზიდანი (კაპო 68), პირესი (ვილტორდი 46), ტრეზეგე, ანრი
მწვრთნელი: ჟაკ სანტინი
**ბრაზილია:** დიდა, კაფუ, ლუიზაო, კრისი, ედმილსონი, რობერტო კარლოსი, ჟუნინიო პერნამბუკანო (ბაპტისტა 79), ზე რობერტო (ედუ 46), კაკა (ალექსი 46), რონალდინიო, რონალდო
მწვრთნელი: ალბერტო პარეირა
მსაჯი: მანუელ ენრიკე მეხუტო (ესპანეთი)
79 344 მაყურებელი

**ფიფას** საუკუნოვანი იუბილის აღსანიშნავად პარიზში საფრანგეთისა და ბრაზილიის ნაკრებთან ამხანაგური მატჩი გაიმართა. „სტად დე ფრანსზე" შეკრებილი 80 ათასამდე მაყურებელი გოლს ამაოდ ელოდა.

მსოფლიოს ბოლო ორი ჩემპიონატის გამარჯვებულებმა თვალსასეირო ფეხბურთი ითამაშეს, მაგრამ უგოლოდ. რეალური შანსები ჰქონდათ რონალდოს, ანრის, ვილტორდს და რობერტო კარლოსს. დიდამ და გრეგორი კუპემ ახლოდან დარტყმულები მოიგერიეს, ხოლო 67-ე წუთზე რობერტო კარლოსის ფეხით გასროლილი ბურთი ძელს მოხვდა.

პირველ ტაიმში მეტოქეებმა გრძელტოტა, ძველებური ტრუსებით ირბინეს, შესვენების შემდეგ კი თანამედროვე... თანამედროვე — ჩვეულ სამოსში გამოეწყვნენ.

ფრანგებისთვის ეს ზედიზედ მეორე უგოლო ფრე იყო. ისინი მარტში ჰოლანდიელებს დაუზავდნენ. მომდევნო კვირას „სამფეროვნები" პარიზში ანდორას უმასპინძლებენ, ხოლო 6 ივნისს უკრაინას, ეს მატჩი ბოლო იქნება ევრო 2004-ის დაწყებამდე.



დესაის და რონალდინიოს კაი ამხანაგობა გამოუვიდათ

„ეს ბრწყინვალე მატჩი იყო და მხოლოდ გოლები აკლდა — განაცხადა ჟაკ სანტინიმ — ბრაზილიის და საფრანგეთის დარი გუნდების შეხვედრა ყოველთვის საამო სანახავია. ორივე მეკარემ შესანიშნავად ითამაშა. გუნდის რეალური შესაძლებლობა ასეთ მეტოქესთან უკეთესად ჩნდება. ბოლო ორი მატჩი ძლიერ მოწინააღმდეგესთან გვქონდა. ჰოლანდია ხომ ევრო 2004-ის ფავორიტია, ბრაზილია კი მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი".

„ორივე გუნდი უტევდა, მაგრამ მცველებმა კარგად ითამაშეს" — თქვა კარლოს ალბერტო პარეირამ.

ჟან ალენ ბუმსონგი: „ეს ამხანაგურ შეხვედრას აშკარად არ ჰგავდა და სასარგებლო გაკვეთილი იყო ჩვენთვის პორტუგალიაში გამგზავრებამდე".

რონალდინიო: „პარიზში ჩამოსვლით ძალიან გავიხარე. მე ხომ პსჟ-ში ვთამაშობდი და აქაური მეგობრები ვნახე".

არსენ ვენგერი: „100 წელი? ფეხბურთი ჯერ ახალგაზრდაა. ნეტავ, როგორ ძლებდა ხალხი უფეხბურთოდ მის დაბადებამდე?"

ჟაკ სანტინი ფიფელებს გაუწყრა, მე და კარლოს ალბერტო პარეირა სამახსოვრო ფოტოზე არ მოვხვდითო: „საზეიმო დღეს ეს ხომ მწვრთნელების უპატივცემულობაა".

მატჩის წინ გამართულ ფიფას კონგრესზე იოზეფ ბლატერმა ბევრი ილაპარაკა და საიუბილეოდ დაწესებული ჯილდოთა მფლობელები დაასახელა.

პელეს და ფრანც ბეკენბაუერს ჯილდო ფეხბურთის განვითარებაში შეტანილი წვლილის გამო ერგოთ. ჟიულ რამეს — ფიფას დაარსებისთვის, ურუგვაის კი პირველი მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობისთვის. ჯილდო რამეს შვილიშვილს გადასცეს.

მადრიდის „რეალი" ჩემპიონთა თასის ცხრაჯერ მოგებისთვის დააჯილდოვეს, ხოლო ინგლისური კლუბი „შეფილდი", როგორც მსოფლიოში პირველი გუნდი, რომელიც 1857 წლის 24 ოქტომბერს დაარსდა.

კორეისა და იაპონიის გულშემატკივრები კარგი საქციელისთვის დაასაჩუქრეს, ხოლო ჟოაო აველანჟი ფიფასთვის მიძღვნილი წლებისთვის.

**ვაჟა ხუციშვილი**

# კანავაროს ბოლო გამოუჩნდა



**იტალიის** ნაკრების კაპიტანი, ფაბიო კანავარო ამბობს, რომ ევროპის კარსმომდგარი ჩემპიონატი მისთვის, ალბათ, ბოლო იქნება.,

„მგონი, ბოლო შანსი მეძლევა — თქვა 30 წლის მცველმა — თანდათან ახლოვდება დრო, როდესაც ფეხბურთიდან უნდა წავიდე. ვფიქრობ, ჩემი თაობის ფეხბურთელებისთვის ახლა ბოლო ეტაპი იწურება. ცხადია, როგორც ყველაფერში გამონაკლისი ამაშიც იქნება, მაგრამ პირადად მე ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შემდეგ ნაკრებიდან წასვლას ვაპირებ".

გეხსომებათ, ოთხი წლის წინანდელ ევროპის ჩემპიონატზე კანავარო იტალიელთაგან ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურათაგანი გახლდათ. მაშინ „სკუადრა აძურას" ევროპის ჩემპიონატის ტიტულამდე წამები დააკლდა.

„ამ ჩემპიონატში გამარჯვება მეტისმეტად ძნელი იქნება, მაგრამ თუ გვინდა, რომ ევროპის ჩემპიონები გავხდეთ, ყველა უნდა დავამარცხოთ. უნდა ვიცოდეთ, რომ ძლიერები ვართ და ფეხბურთის გარდა არაფერზე არ უნდა ვფიქრობდეთ. მოკლედ და გასაგებად რომ ვთქვათ, უნდა ვივარგოთ. დღეს ევროპაში ყველაზე გამოცდილი გუნდი ჩვენ გვყავს და ჯოვანი ტრაპატონიმ სწორი შემადგენლობა შეარჩია".

**პაპუნა ძიდია**

*მიუხედავად კლუბის ცუდი ფინანსური მდგომარეობისა, ბერნარდო კორადი ჯერჯერობით „ლაციოში" დარჩება. ერთი სიტყვით, საკმაოდ ინტენსიური საუბრები, რომ კორადის „მილანი" შეიძენდა, ამ ეტაპზე მართალი არ გამოდგა, თუმცა, თუ „ლაციოს" თავის გადასარჩენად სხვა გზა არ ექნება, მაშინ თავდამსხმელს გაყიდის და ისიც ამას გაგებით შეხვდება*

# ლაციო? ლაციო!




„კორადი „ლაციოს" მხოლოდ იმ შემთხვევაში დატოვებს, თუ კლუბს ფულის საშოვნელად დასჭირდება მისი გაყიდვა — განაცხადა ფეხბურთელის აგენტმა მორენო როჯიმ — ბერნარდო რომში თავს ბედნიერად გრძნობს, სულ ახლახან იყიდა ახალი სახლი და გარშემო ყველასთან ბრწყინვალე ურთიერთობა აქვს, მაგრამ თუ „ლაციო" ისევე, როგორც სტამის შემთხვევაში მოხდა, დახმარებას სთხოვს, ის უარს არ იტყვის".

გეხსომებათ, რომ ბერნარდო კორადის სახელს „იუვენტუსსაც" უკავშირებდნენ, მაგრამ აგენტმა როჯიმ განმარტა, რომ ტურინელები თავად არ არიან მისი კლიენტით დაინტერესებულნი.

„რამდენადაც ვხვდები, იუვენტუსი" უფრო ფერნანდო მორიენტესით და ალბერტო ჯილარდინოთია დაინტერესებული" — თქვა როჯიმ, თუმცა არსებობს სხვა აგენტიც, კლაუდიო პასკალინი, რომელიც ამბობს, რომ „ბებერი ქალბატონი" სულ სხვაგან იყურება.

„მგონი, სატრანსფერო ფანჯრის მიხურვის წინ ერთი დიდი იტალიური ტრანსფერის მოწმენი გავხდებით — „იუვენტუსი" „ინტერისგან" კრისტიან ვიერის იყიდის".

**პაპუნა ძიდია**


## სიახლე საქართველოში!

საუკეთესო ხარისხის სპორტული ფორმის (ტრუსები, მაისურები)

დამზადება გნებავთ, თქვენი სურვილისამებრ, გნებავთ

თქვენს მიერ კატალოგში შერჩეული ესკიზით





ნომრები სპორტულ მაისურებზე, წარწერები...

სპორტული ატრიბუტიკა: დროშები, ვიმპელები...

საცალო და საბითუმო ფასებში

სარო-არტპრინტი

ვაჟა ფშაველას 91. 53-76-82 899 56-18-49

# გერმანია

ვაჟა ხუციშვილი

| XXXIV ტური | | |
|---|---|---|
| დღეს | | |
| ვოლფსბურგი | — | შალკე |
| ბოხუმი | — | ჰანოვერი |
| ჰამბურგი | — | აინტრახტი |
| ბაიერნი | — | ფრაიბურგი |
| ლევერკუზენი | — | შტუტგარტი |
| ჰანზა | — | ვერდერი |
| ჰერტა | — | კიოლნი |
| გლადბახი | — | მიუნხენი |
| ლაუტერნი | — | დორტმუნდი |

| საღლეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვერდერი | 33 | 22 | 8 | 3 | 78:35 | 74 |
| ბაიერნი | 33 | 19 | 8 | 6 | 68:39 | 65 |
| შტუტგარტი | 33 | 18 | 10 | 5 | 52:22 | 64 |
| ლევერკუზენი | 33 | 18 | 8 | 7 | 71:39 | 62 |
| დორტმუნდი | 33 | 16 | 6 | 11 | 57:47 | 54 |
| ბოხუმი | 33 | 14 | 11 | 8 | 54:38 | 53 |
| შალკე | 33 | 13 | 10 | 10 | 48:41 | 49 |
| ჰამბურგი | 33 | 13 | 7 | 13 | 45:59 | 46 |
| ჰანზა | 33 | 11 | 8 | 14 | 52:52 | 41 |
| ვოლფსბურგი | 33 | 13 | 2 | 18 | 55:60 | 41 |
| ფრაიბურგი | 33 | 10 | 8 | 15 | 42:65 | 38 |
| ჰანოვერი | 33 | 9 | 10 | 14 | 48:60 | 37 |
| გლადბახი | 33 | 9 | 9 | 15 | 37:48 | 36 |
| ჰერტა | 33 | 8 | 12 | 13 | 39:58 | 36 |
| ლაუტერნი | 33 | 11 | 5 | 17 | 38:61 | 35 |
| აინტრახტი | 33 | 9 | 5 | 19 | 35:51 | 32 |
| მიუნხენი | 33 | 8 | 8 | 17 | 31:52 | 32 |
| კიოლნი | 33 | 6 | 5 | 22 | 31:54 | 23 |

„კაიზერსლაუტერნს" დაკლებული აქვს 3 ქულა

ბოლო ტური ბუნდესლიგაში ბოლს გაფანტავს და ყველა თავის ადგილს იპოვის. თვრამეტიდან ათი გუნდი დაარხეიანებულია, რვას კი დღეს ოფლისღვრა მოუწევს.

მიუნხენის „ბაიერნს" მეორე ადგილს „შტუტგარტი" და „ლევერკუზენი" ალბათ ვეღარ შეეცილებიან. საქმე ისაა, რომ ოტმარ ჰიცფელდი „ფრაიბურგთან" მატჩის შემდეგ გუნდს ოფიციალურად გაეყრება და, ცხადია, წასვლას გამარჯვებით გეგმავს. ჰიცფელდს გუშინ ფეხბურთელებისთვის უთქვამს: ეს მატჩი ჩემთვის კი არა, „ბაიერნისთვის" უნდა მოიგოთო. ამიტომ მიუნხენელები მოგებას და ჩემპიონთა ლიგაში ადგილის მოპოვებას შეეცდებიან.

მიუნხენელთა გამარჯვების შემთხვევაში „შტუტგარტს" და „ლევერკუზენს" გასაყოფი მესამე საფეხური დარჩებათ. საამისოდ ისინი „ფარმაცევტების" სტადიონზე დაეჯახებიან ერთმანეთს. ფელიქს მაგათის გუნდს ფრეც ხელს აძლევს, მასპინძლებს კი მხოლოდ სამი ქულა სჭირდებათ. მესამე ადგილი ჩემპიონთა ლიგის სკკვალიფიკაციო ეტაპზე მოხვედრის გარანტიაა, მეოთხე კი — უეფას თასის საგზურისა.

ამავე საგზურისთვის იბრძვიან „ბოხუმი" და დორტმუნდის „ბორუსია". ბოხუმელთა საქმე შედარებით უკეთესადაა. ისინი „ჰანოვერს" უმასპინძლებენ, რომელსაც ბუნდესლიგიდან გავარდნა არ ემუქრება, ამიტომაც ბოხუმელებს გამარჯვება არ უნდა გაუჭირდეთ, მით უმეტეს, მთელი სეზონის განმავლობაში შინ სტაბილურად კარგად თამაშობდნენ.

## ჰიცფელდის ბოლო დაბოლიდ ბუნდესლიგაში



დორტმუნდელებს კაიზერსლაუტერნში ომისმაგვარი ელით. „კაიზერს" უძლიერესთა შორის ადგილის გასანაღდებლად ქულაც ჰყოფნის და ამ ქულისთვის მათიას ზამერის გუნდს თავს შეაკლავს.

„ბოხუმი" თუ მოიგებს, „ბორუსიამაც" უნდა იმარჯვოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, დორტმუნდელები ინტერტოტოს ამარა დარჩებიან.

ფრანკფურტის „აინტრახტი" მხოლოდ საკუთარ თავზე არ არის დამოკიდებული. მას სტუმრად „ჰამბურგის" ძლევა სჭირდება და იმავდროულად „კაიზერსლაუტერნი" შინ დორტმუნდის „ბორუსიასთან" უნდა დამარცხდეს.

„მიუნხენ 1860" ცალი ფეხით მეორე ბუნდესლიგაშია. „ლომებმა" მიონხენგლადბახში თუნდაც მოიგონ, ეს ბუნდესლიგაში ადგილის გასანაღდებლად არ ეყოფათ. სხვა საქმეა, „კაიზერსლაუტერნმა" და „აინტრახტმა" რომ წააგონ — ამ შემთხვევაში დარჩებიან „ლომები" ბუნდესლიგაში.

# ესპანეთი

პაპუნა კედია

## კამაჩოს ჰო და არა

## კეიროში მართალი ყოფილა

ხვალ „რეალს" ბოლო ხუთი წლის უარესი სეზონი დაუმთავრდება. „გალაქტიკო" ჯოჯოხეთს ასრულებს, ოღონდ, იმედიანად. მეორე მხრივ, იმედი მოედანთან არ არის დაკავშირებული, ის იმითაა განაპირობებული, რომ „რომადან" „სამეფო კლუბში" არგენტინელი მცველი, ვალტერ სამუელი გადადის, „ბენფიკადან" მწვრთნელი, ხოსე ანტონიო კამაჩო მივა, ხოლო ინგლისელმა ვარსკვლავმა, დევიდ ბექემმა გამოაცხადა, რომ მადრიდიდან არსად წავა.

| XXXVIII ტური | | |
|---|---|---|
| ხვალ | | |
| ბილბაო | — | ატლეტიკო |
| სელტა | — | მალიორკა |
| ესპანიოლი | — | მურსია |
| რასინგი | — | დეპორტივო |
| რეალი | — | სოსიედადი |
| სევილია | — | ოსასუნა |
| ვალიადოლიდი | — | ვილიარეალი |
| ვალენსია | — | ალბასეტე |
| სარაგოსა | — | ბარსელონა |
| მალაგა | — | ბეტისი |

| საღლეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვალენსია | 37 | 23 | 8 | 6 | 71:26 | 77 |
| ბარსელონა | 37 | 21 | 9 | 7 | 62:37 | 72 |
| რეალი | 37 | 21 | 7 | 9 | 70:49 | 70 |
| დეპორტივო | 37 | 20 | 8 | 9 | 59:34 | 68 |
| ბილბაო | 37 | 15 | 11 | 11 | 50:45 | 56 |
| ვილიარეალი | 37 | 15 | 9 | 13 | 47:46 | 54 |
| სევილია | 37 | 14 | 10 | 13 | 55:45 | 52 |
| ატლეტიკო | 37 | 14 | 10 | 13 | 47:50 | 52 |
| მალაგა | 37 | 15 | 6 | 16 | 48:52 | 51 |
| ბეტისი | 37 | 12 | 13 | 12 | 43:41 | 49 |
| ოსასუნა | 37 | 11 | 15 | 11 | 38:36 | 48 |
| მალიორკა | 37 | 14 | 6 | 17 | 52:65 | 48 |
| სარაგოსა | 37 | 12 | 9 | 16 | 44:54 | 45 |
| ალბასეტე | 37 | 12 | 8 | 17 | 39:48 | 44 |
| სოსიედადი | 37 | 10 | 13 | 14 | 45:52 | 43 |
| რასინგი | 37 | 11 | 10 | 16 | 48:62 | 42 |
| ესპანიოლი | 37 | 12 | 4 | 21 | 46:64 | 40 |
| სელტა | 37 | 9 | 12 | 16 | 46:65 | 39 |
| ვალიადოლიდი | 37 | 9 | 11 | 17 | 43:56 | 38 |
| მურსია | 37 | 5 | 11 | 21 | 29:55 | 26 |

„რასინგს" დაკლებული აქვს 1 ქულა

რამდენად შეესაბამება სამუელის ყიდვა მადრიდელთა ბოლო წლების სატრანსფერო პოლიტიკას? არგენტინელი დიახაც, ძლიერი ფეხბურთელია, მაგრამ ის შოუ-ბიზნესის ტიპის ვარსკვლავი არ გახლავთ. უბრალოდ ძალიან გამოსადეგი კაცია. ამბობენ, სამომავლოდ „სამეფო გუნდში" მისივე ახალგაზრდული გუნდის ყველაზე მომზადებულ ფეხბურთელებს ვიხილავთ. ცხადია, თუ ასე მოხდება, მადრიდელებს ფული დაეზოგებათ. მაგრამ მეორე მხრივ, ეს იმას ნიშნავს, რომ „გალაქტიკო" უწინდელი სატრანსფერო პოლიტიკის სიმცდარეს ადასტურებს.

შეგახსენებთ, დიდი უცხოელი ვარსკვლავების ყიდვით გატაცებულმა „რეალმა" ამ სეზონის წინ ბევრი საკუთარი ახალგაზრდა გაუშვა სხვადასხვა კლუბებში. მაშინ ახალმისული მწვრთნელი, კარლუშ კეიროში ამბობდა, პოტენციის პრობლემას ვხედავ, ჯობს ცოტა ფრთხილად ვიყოთო, მაგრამ არ დაუჯერეს და, მეტიც, დღეს მას განტევების ვაცობა ელის.

ამ ზაფხულს გაიმართება კლუბის პრეზიდენტის არჩევნებიც. დღევანდელ შეფს, ფლორენტინო პერესს, ბუნებრივია, დიდი იმედი აქვს და სწამს, რომ არჩევნებში გაიმარჯვებს, თუმცა მისმა არჩევა-ვერარჩევამ წესით კამაჩოს მწვრთნელად მოყვანაზე ვერ უნდა იმოქმედოს, რადგან კამაჩო ინჩასებს უყვართ.

სხვათა შორის, თავად კამაჩო ყოველმხრივ ცდილობს, აარიდოს თავი პასუხს კითხვაზე, მართალა შეუდგება თუ არა საქმეს... უკვე შემდეგ კვირაში.

„დასტური არ მითქვამს, რადგან გამოვიდოდა, რომ კოლეგას სამსახურს ვართმევ. მეორე მხრივ, არც უარი მაქვს ნათქვამი, რადგან ასე გამოვიდოდა, რომ „რეალის" მწვრთნელობა არ მინდა. დავიცადოთ და ვნახოთ, რა მოხდება. ორშაბათამდე ცოტა დროა" — ამბობს ჯერ მაინც „ბენფიკას" მწვრთნელი.

თუმცა, რა მოხდება მომავალში სხვა თემაა, მანამდე კი, „რეალს" ხვალ „რეალ სოსიედადთან" ელის თამაში.

მოგეხსენებათ, ბოლო ორი თამაშის ჩაფლავებამ „გალაქტიკო" ცხრილში მესამე ადგილზე ჩაუძახა, „ბარსელონას" ორი ქულით ჩამოარჩინა და ისეთ დღეში ჩააგდო, რომ მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში მოსახვედრად ეტყობა საკვალიფიკაციო ეტაპის გავლა დასჭირდება.

ბასკებთან მადრიდელებს არ ეყოლებათ დისკვალიფიცირებული ბექემი და ზინედინ ზიდანი.

„ბარსას" ამასობაში „სარაგოსასთან" აქვს თამაში. შეგახსენებთ, რომ კატალონიელებს ბოლო 19 შეხვედრიდან მხოლოდ ერთი აქვთ წაგებული და ამასთან შანსი ეძლევათ საბოლოო ცხრილში „რეალზე" ზევით გავიდნენ. ბუნებრივია, „ბარსა" ამ შანსს ხელიდან არ გაუშვებს.

რაფა ბენიტესი და მისი „ვალენსია" კი ჯერ მშობლიურ „მესტალიაზე" ხალხს ოთხშაბათს მოპოვებულ უეფას თასს დაანახებენ, ხოლო შემდეგ „ალბასეტეე" დაეძგერებიან.

„ვილიარეალმა", რომელმაც უეფას თასის ნახევარფინალში სწორედ „ვალენსიასთან" წააგო, შეიძლება გავარდნის საშიშროების წინაშე მდგომ „ვალიადოლიდს" მოუგოს და ისევ მოიპოვოს უეფას თასზე თამაშის უფლება.

რაც შეეხება ქვედა გუნდებს, თუ ლუის ფერნანდესის „ესპანიოლი" შინ სძლევს უკვე გავარდნილ „მურსიას", პრიმერადივიზიონში დარჩება და ამით „ვალიადოლიდს" და „სელტას" გააგდებს.



ნაქეიფარ „ვალენსიას" ბოლო ტურში „ალბასეტე" ელის

# ინგლისი. ასოციაციის თასის ფინალი

## მანჩესტერი — მილუოლი

# პირველი და უკანასკნელი

## ერიდე ველურ ბანდიდტს, გეშინოდეს დაჭრილი ვეფხვის

*დღეს კარდიფის „მილენიუმის“ სტადიონზე მსოფლიო ფეხბურთის უძველესი ჯილდოს, ინგლისის ასოციაციის თასის ფინალია, რომელშიაც ერთმანეთს ხვდებიან დიდი „მანჩესტერ იუნაიტედი“ და პატარა „მილუოლი“. „მანჩესტერისთვის“ ეს უკანასკნელი შანსია, რომ წამხდარ სეზონში ერთი ტიტული მაინც მოიპოვოს, „მილუოლი“ კი საერთოდ პირველადაა ფინალში*



ალექს ფერგიუსონი



დენის უაიზი

„მილუოლის“ მოთამაშე-მენეჯერია ერთ დროს „ჩელსის“ კოლორიტული კაპიტანი და „უიმბლდონის“ „ველური ბანდის“ წევრი დენის უაიზი, რომლის მოედანზე გასვლაც დღეს ტრავმის გამო საეჭვოა. უაიზმა ნახევარი წლის წინ ჩაიბარა პირველი დივიზიონის აუტსაიდერად მყოფი „მილუოლი“ და ისე მოაყაჩაღა ის, რომ თასის ფინალში გასვლით უკვე დაიბევა უეფას თასის საგზური. მთელს ინგლისში დიდი სიმპათიაა უაიზისა და მისი გუნდის მიმართ.

„მანჩესტერს“ წლეულს მრავალი უბედურება გადახდა, რაც მცველ რიო ფერდინანდის დისკვალიფიკაციით დაიწყო, ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნით გაგრძელდა და „არსენალისთვის“ ჩემპიონის ტიტულის გადაბარებით დასრულდა. მაგრამ „მანჩესტერმა“ თასის ნახევარფინალიდან, პრინციპულ თამაშში გამოადგა „არსენალი“ და ამით მიანიშნა, რომ მისთვის ამ თასისთვის ბრძოლას ფასი აქვს. ეს მაშინ, როცა ბოლო წლებში, სერ ალექს ფერგიუსონი თასზე მხოლოდ დუბლებს ათამაშებდა და ითხოვდა, ნება მოგვეცით, საერთოდ არ მივიღოთ მონაწილეობაო, რითაც ამ საპატიო თასის პრესტიჟსაც კი სცემდა დაბლა.

მაგრამ ახლა სხვა გაზაფხულია და „მანჩესტერსაც“ აუცილებლად უნდა თასი, რომელიც უკანასკნელად ხუთი წლის წინ მოიგო.

„მანჩესტერი“ აშკარა ფავორიტია, თუმცა, სათასო თამაში, თანაც ფინალი და თანაც ინგლისში, მოულოდნელობებითაა სავსე და სერ ალექსს საბუზღუნო ბევრი აქვს, თუნდაც ფინალის მსაჯი ჯეფ ვინტერი, რომელიც ამ თამაშს იმსაჯებს და მსაჯობასაც გამოეთხოვება. ეს არბიტრი სწორედ ის კაცია, ვინც წლეულს სხვა მსაჯს, იურაი რენის მინდვრის კიდიდან გააძევებინა სერ ალექსი. ეს მოხდა „ნიუკასლთან“ მატჩში, სადაც ვინტერი მეოთხე მსაჯად იყო. ვინტერს წლეულს „მილუოლის“ სათასო თამაშიც უმსაჯია და საერთოდ, პენალტების დადება უყვარს.

სხვა საბუზღუნო ფერგისთვის თავად დენის უაიზია, რომლის ჭკუადამჯდარ მენეჯერად წარმოდგენა შეუძლებელია. უაიზი, კარიერაში 13-ჯერაც გაძევებული, თუ დღეს ითამაშებს და „მილუოლიც“ მოიგებს, 37 წლის ნახევარმცველის სახელი ისტორიის წიგნებში ჩაიწერება. უაიზი პირველი ფეხბურთელი შეიქნება, სამ სხვადასხვა გუნდში რომ მოუგია ასოციაციის თასი: „უიმბლდონთან“ ერთად 1988 წელს და ორჯერ „ჩელსიში“ ყოფნისას. უაიზს მცირე ტრავმა აქვს, თუმცა, მოედანზე ცალი ფეხითაც გავა. მისი დუელი როი კინთან გვარიანი საცქერი იქნება. თუ უაიზი მოედანზე იქნება და ალბათ მაინც იქნება, სამწვრთნელო სკამიდან თამაშს მისი თანაშემწე რეი უილკინსი უხელმძღვანელებს, „ჩელსისა“ და „მანჩესტერის“ ყოფილი ვარსკვლავი“. უილკინსი ამბობს, რომ უაიზზე მეტად თავდადებული მენეჯერისა და ჯიგარი კაცის წარმოდგენა შეუძლებელია. ის გუნდის სული და ხალისია და დღემდე ბანქოს ეთამაშება თავის ფეხბურთელებს.

თუმცა, „მილუოლი“ არასოდეს ყოფილა თასის ფინალში, „მანჩესტერი“ კი იქ 15-ჯერ იყო და 10-ჯერ გაიმარჯვა. მაგრამ ბოლო წლებში „იუნაიტედს“ თასზე არაფრით გამოუჩენია თავი, 2000 წელს კი საკლუბო მსოფლიოს ჩემპიონატი მოიმიზეზა და საერთოდაც თასზე თამაშზე უარი თქვა.

რა თქმა უნდა, რუუდ ვან ნისტელროის, რაიან გიგზსა და კრისტიანო რონალდოს დიახაც, ეხალისებათ პირველდივიზიონურ დაცვასთან თამაში. როი კინისთვის კი, რომელმაც ფეხი მოიშუშა, ეს საერთოდაც მეექვსე ფინალი იქნება, რითაც მხოლოდ ლეგენდარულ არტურ კინკლანდს ჩამორჩება, რომელსაც ცხრაჯერ უთამაშია თასისთვის 1873-83 წლებში.

რეი უილკინსმა იცის, რას უნდა ელოდოს ფერგიუსონისგან: „ის დაჭრილი ვეფხვია და ყველაფერი გასაგებია, სერ ალექსს თასი უნდა, ჩვენ კი მათი შეჩერება. ფინალი „მილუოლისთვის“ სხვაფრივაც არის დიდი გამოცდა: 70-იანი წლებიდან, კლუბის ფანებს ხულიგნებისა და რასისტების სახელი დაუვარდათ და ახლა სახალხოდ უნდა დაამტკიცონ თავიანთი ტოლერანტობა.

ფერგიუსონი კი ამბობს: „თამაშების 90 პროცენტში ჩვენ ფავორიტებად ვითვლებით. აქედან არაფერი გამომდინარეობს. ფინალის უბრალოდ თამაში არასოდეს გამოდის“.

**ირაკლი გამყრელიძე**



მანჩესტერელებს ამ სეზონში ჯერ არაფერი მოუგიათ

# სამუელი 24 მილიონად

ეროვნული ბიბლიოთეკა



## რეალმა ვალტერი იყიდა

**არგენტინელი** ვალტერ სამუელი „რომას“ მოთამაშე აღარ არის, იგი 24 მილიონ ევროდ მადრიდის „რეალში“ გაიყიდა. მას მერე, რაც მცველმა რომიდან წასვლის სურვილი გამოთქვა და იტალიურმა კლუბმაც ნება დართო, მის შესაძენად ნაბიჯები მადრიდელებმა და ლონდონის „ჩელსიმ“ გადადგეს. სამუელმა „რეალი“ არჩია.

„ბოკა ხუნიორსის“ ყოფილი მოთამაშე მადრიდში ხუთი წლით დარჩება და, როგორც ამბობენ, წელიწადში დახლოებით 2,5 მილიონ ევროს მიიღებს. სამუელი მადრიდში დღეს გაფრინდება, ხოლო მისი პრეზენტაცია ზეგ, ორშაბათს გაიმართება.

საინტერესოა, რომ ვალტერ სამუელი გამოდგა მეორე რომაელი, რომელმაც ბოლო 24 საათში დატოვა კლუბი. პირველი იყო „იუვენტუსში“ წასული ფრანგი ჯონათან ძებინა.

შესაძლოა, ამ დღეებში „რომას“ გამოაკლდეს კიდევ ერთი ფეხბურთელი, ბრაზილიელი ემერსონი, რომელიც, როგორც ამბობენ, ძებინასავით „იუვენტუსს“ გაურიგდა, თუმცა იმასაც ამბობენ, თავად კლუბებმა სატრანსფერო თანხაზე ჯერ ვერ მოილაპარაკესო.

**პაპუნა ძედია**

# ბექჰემი მადრიდში ცოლ-შვილით რჩება



**„რეალის“** ინგლისელმა ვარსკვლავმა დევიდ ბექემმა ესპანურ მედიასთან შეხვედრისას აღნიშნა, რომ ხმები მისი მადრიდიდან შესაძლო წასვლის შესახებ სიმართლეს არ შეესაბამება და მხოლოდ სენსაციის მოყვარულთა მონაჭორია. ბექემის თქმით, იგი და მისი ოჯახი ესპანეთში დიდი ხნით აპირებენ დარჩენას. ბექემების წყვილი პირენეელთა სატახტო ქალაქში ახალ სასახლეში იცხოვრებს და მათი ვაჟი ბრუკლინიც სწავლას იქაურ კოლეჯში გააგრძელებს.

„რეალთან“ დიდი ხნით მაკავშირებს კონტრაქტი, ხოლო ესპანეთს შესანიშნავ ქვეყნად ვთვლი. აქ მხოლოდ ერთი სეზონია, რაც ვთამაშობ და ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ „ბერნაბეუზე“ ჯერ კიდევ უამრავი რამ მაქვს გასაკეთებელი. გულშემატკივრებმა თავიანთი ქომაგობით ძალიან გამამხნევეს და მეც მინდა, ისინი წარმატებებით გავახარო. ვიქტორიაც ზუსტად ჩემნაირად ფიქრობს. მადრიდიდან არსად წასვლას არ ვაპირებ“ — განაცხადა დევიდ ბექემმა.

საესპანეთო განწყობა არც ინგლისელის პოშ-ცოლს დაუმალავს — ვიქტორია ადამსს მადრიდი ფანტასტიკურ ქალაქად მიაჩნია: „ახლა კარგი დროა საიმისოდ, რომ ბავშვები ესპანეთში გადმოვიყვანოთ, მადრიდი ძალიან მომწონს, ფანტასტიკური ქალაქია და დიდებული ხალხიც ცხოვრობს. დევიდსა და მეც ძალიან გვინდა, აქ რაც შეიძლება მეტხანს დავრჩეთ. კარგია, რომ ახალ სახლში გადავდივართ“. ერთი სიტყვით, გალაქტიკური წყვილი ესპანეთს ვერ შეელევა..

**ლადო ხომერიკი**

*ვინ რამდენი, ვინ როგორ, ვინ ვის, ვინ თავით და ვინ მუშტით, რეკორდები და ანტირეკორდები. პრემიერლიგის დასრულებიდან ერთი კვირის თავზე გთავაზობთ 2003-04 წლების ინგლისის ჩემპიონატის სტატისტიკას, სადაც მისხალ-მისხალ არის დაანგარიშებული ვინ რამდენი... ერთი სიტყვით...*

# ციფრული პრემიერლიგა




ტიერი ანრი

**„ბლექბერნი“** ერთადერთი გუნდია, რომლის სასარგებლოდაც პენალტი არ დაუნიშნავთ.

**„ჩელსიმ“** ორივე მატჩი წააგო „არსენალთან“, არადა, ორივე რომ მოეგო, „არისტოკრატები“ ახლა ჩემპიონები იქნებოდნენ.

**სამ-სამი** პენალტი ვერ გაიტანეს რუუდ ვან ნისტელროოიმ და ალან შირერმა.

**პრემიერლიგის** ისტორიაში ტიერი ანრი გახდა მეოთხე ფეხბურთელი, რომელმაც სეზონში 30 გოლი გაიტანა.

**ლესტერელებმა** რვა გოლი საკუთარ კარში გაიტანეს.

**ცხრა** ფეხბურთელმა შეასრულა ჰეთ თრიქი.

**ტიერი ანრიმ** მეასე გოლი გაიტანა და პრემიერლიგის 100-იანთა კლუბის მეთერთმეტე წევრი გახდა.

**„ნიუკასლი“** სტუმრად 12-ჯერ დაუზავდა მეტოქეებს. ეს რეკორდია პრემიერლიგის 12-წლიან ისტორიაში.

**ვულვზელი** პოლ ინსი ყვითელი ბარათით 13-ჯერ „დაჯილდოვდა“.

**რობერ პირესმა** 14 გოლი გაიტანა. იგი ყველაზე შედეგიანი ნახევარმცველია.

**თექვსმეტი** წლის და 129 დღის იყო ლიდსელი აარონ ლენონი, რომელმაც შარშან აგვისტოში ითამაშა და პრემიერლიგის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი შეიქნა.

**„ლესტერმა“** და „ბლექბერნმა“ შინ 19 ქულაზე მეტი ვერ მოაგროვეს.

**ოცი** მატჩი იმსაჯა რობ სტაილზმა და 12 ფეხბურთელი გააძევა.

**„ლიდსის“** გოლების 23 პროცენტი მატჩის საწყის 15 წუთში გავიდა.

**„ლესტერმა“** ოცდარვა ქულა დაკარგა იმ მატჩებში, რომლებსაც თავიდან იგებდა.

**ინგლისში** გადასვლის შემდეგ ანრიმ ოცდაცხრა გუნდის წინააღმდეგ ითამაშა და თითოჯერ ყველას გაუტანა.

**ოცდამეთერთმეტე** წაუგებელი მატჩი იყო პირველი რეკორდი, რომელიც „არსენალმა“ გაიმეორა.

**„არსენალიდან“** „ლიდსში“ განათხოვრებულმა ჟერმენ პენანტმა 36-ჯერ ითამაშა ძირითად შემადგენლობაში.

**„ევერტონმა“** ოცდაცხრამეტი ქულა მოაგროვა და ეს გუნდისთვის უცუდესი შედეგია პრემიერლიგის ისტორიაში.

**„მიდლსბროს“** მეკარე მარკ შვარცერმა ბურთი მუშტებით ორმოცდასამჯერ მოიგერია.

**„მანჩესტერ იუნაიტედმა“** დისკვალიფიცირებული რიო ფერდინანდის გარეშე მატჩების მხოლოდ ორმოცდაოთხი პროცენტი მოიგო.

**„არსენალმა“** ზედიზედ ორმოცდაექვს საშინაო მატჩში თითო გოლი მაინც გაიტანა.

**90-ე** ან დამატებულ წუთებზე ორმოცდაცხრა გოლი გავიდა.

**„ჩარლტონი“** ორმოცდათერთმეტი წლის განმავლობაში მერვე ადგილს არ ასცდენია და ეს ახლა მოახერხა. „ჩარლტონმა“ მისთვის სარეკორდო ორმოცდაცამეტი ქულა მოაგროვა.

**„ჩელსის“** გოლთა ორმოცდათორმეტი პროცენტი გაიტანეს ფეხბურთელებმა, რომლებიც აბრამოვიჩს გუნდში დახვდნენ.

**გოლების** 55 პროცენტი მეორე ტაიმში გავიდა.

**პრემიერლიგაში** 56 ეროვნების ფეხბურთელებმა ითამაშეს.

**წითელი** ბარათი 58-მა მოთამაშემ მიიღო.

**„ლივერპულმა“** სამოცი ქულა მოაქუჩა. პრემიერლიგის ისტორიაში მეოთხე ადგილზე გასულ გუნდს ასე ცოტა მონაგარი არასოდეს ჰქონია.

**პარლტონ კოული** ყველაზე მიზანგასწორებული ფეხბურთელია. მის დარტყმულთა 63 პროცენტი კარის ჩარჩოში მოხვდა.

**„მანჩესტერ იუნაიტედმა“** სეზონში მხოლოდ 64 გოლი გაიტანა. ასეთი ცუდი შედეგი გუნდს პრემიერლიგის ისტორიაში არასოდეს ჰქონია.

**ბლექბერნელმა** ბრეტ ემერტონმა 74 პასი მიითვალა და აქედან 11 გოლით დასრულდა.

**სეზონის** რეკორდი „საუთჰემპტონის“ მეკარე ანტი ნიემიმ დაამყარა — მან დარტყმების 79 პროცენტი მოაგროვა.

**დამიენ დაფის** პასების 82 პროცენტი მისმა თანაგუნდელებმა მეტოქის საჯარიმოში მიიღეს.

**„ასტონ ვილას“** ფორვარდი დარიუს ვასელი 83-ჯერ დაჯარიმდა, მაგრამ ერთხელაც არ გაუფრთხილებიათ.

**„არსენალის“** მცველი გაელ კლიჩი 1985 წელსაა დაბადებული და ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი გახდა პრემიერლიგის ისტორიაში.

**„არსენალმა“** 90 ქულა მოაგროვა, რაც საკლუბო რეკორდია.

**არსენალელი** დენის ბერხკამპი ინგლისურ კარიერაში 93-ჯერ შეცვალეს.

**„არსენალმა“** „ფულემთან“ სტუმრად მოგებით გასვლით შეხვედრაში მე-100 გამარჯვება მოიპოვა.



ალან შირერმა ამ სეზონში სამი პენალტი გააცუდა

# გააღეთ, პოლიცია! იტალიაში ფეხბურთელებს სახლში უჩხრეკენ

**გეხსომებათ,** ერთი ხნის წინ იტალიაში, ანტიმაფიური პოლიციის მიერ დაწყებულ მასშტაბურ გამოძიებაზე გაუწყეთ: პოლიციელებს ეჭვი აქვთ, რომ ორგანიზებული დანაშაულის ჯგუფებსა და სანაძლეო ბიზნესის წარმომადგენლებს შორის იატაკქვეშა კავშირია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამოწმებენ, მართლა არსებობს თუ არა მაფიისა და ტოტალიზატორების კავშირი და ამ კავშირის გამო მართლა „აწყობენ“ თუ არა იტალიის სხვადასხვა ლიგის ჩემპიონატების მატჩებს.




სტეფანო ბეტარინი

ბოლო ცნობების თანახმად, ამ დღეებში გამომძიებლებმა ოთხ ფეხბურთელს გაუჩხრიკეს ბინა. ამ ოთხს შორის გახლდათ გენუის „სამპდორიას“ მცველი სტეფანო ბეტარინიც, რომელმაც ახალდამთავრებული სეზონი იმდენად კარგად ჩაატარა, რომ ნაკრებშიც კი მიიწვიეს.

ალსანიშნავია, რომ ბეტარინი გახლავთ უმშვენიერესი ტელეწამყვანის, სიმონა ვენტურას მეუღლე და კვირაობით, როდესაც ქმარი მოედანზე ირჯება, ცოლს „რაი დუეზე“ საფეხბურთო თუ ნახევრად საფეხბურთო შოუ მიჰყავს.

დანარჩენი სამი გაჩხრეკილი გახლავან, „მოდენას“ ანტონიო მარასკო, „კიევოს“ ჯოვანი კალიფანო და კომოელი ალფრედო ფემიანო.

ხსენებულ ოთხეულამდე კი გაჩხრიკეს „სიენას“ რობერტო დავერსა, ჯენეროსო როსი (რომელმაც კლუბი დატოვა) და ნიკოლა ვენტოლა. მათ გარდა გაიჩხრიკნენ აგრეთვე სალვატორე ამბროზინო „გროსეტოდან“ და „იუვე სტაბიას“ ყოფილი წევრი ვინჩენცო ონორატო.

ჯერჯერობით ბრალდება არავისთვის წაუყენებიათ. გამოძიება გრძელდება.

**პაპუნა ძედია**

## ნორვეგია

ტიპელიგა. VII ტური

ოდ გრენლანდი 3:2 ლილესტრიომი
ტრომსიო 2:1 მიოლდე
სოგნდალი 0:2 ვიკინგი
ჰამ კამი 3:2 ფრედრიკსტადი
ბოდიო გლიმტი 0:0 ლინი
სტაბეკი 2:1 ბრანი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტრომსიო | 7 | 5 | 1 | 1 | 15:6 | 16 |
| ოდ გრენლანდი | 7 | 4 | 3 | 0 | 15:7 | 15 |
| ვოლერენგა | 7 | 3 | 4 | 0 | 8:5 | 13 |
| ჰამ კამი | 7 | 3 | 3 | 1 | 8:6 | 12 |
| ბოდიო გლიმტი | 7 | 3 | 1 | 3 | 9:9 | 10 |
| ლინი | 7 | 2 | 3 | 2 | 5:4 | 9 |
| როსენბორგი | 7 | 2 | 3 | 2 | 8:10 | 9 |
| მოლდე | 7 | 2 | 2 | 3 | 8:9 | 8 |
| ვიკინგი | 7 | 1 | 5 | 1 | 6:8 | 8 |
| ბრანი | 7 | 2 | 1 | 4 | 8:8 | 7 |
| სტაბეკი | 7 | 2 | 1 | 4 | 8:13 | 7 |
| ლილესტრიომი | 7 | 1 | 3 | 3 | 9:10 | 6 |
| სოგნდალი | 7 | 1 | 2 | 4 | 9:14 | 5 |
| ფრედრიკსტადი | 7 | 1 | 2 | 4 | 10:17 | 5 |

## ავსტრია

მაქსბუნდესლიგა
XXXVI ტური

ადმირა 2:1 გრაცერი
აუსტრია 2:0 კერნტენი
პაშინგი 4:0 მატერსბურგი
ზალცბურგი 2:0 რაპიდი
შტურმი 4:1 ბრეგენცი

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრაცერი | 36 | 21 | 9 | 6 | 62:32 | 72 |
| აუსტრია | 36 | 21 | 8 | 7 | 63:31 | 71 |
| პაშინგი | 36 | 17 | 12 | 7 | 59:41 | 63 |
| რაპიდი | 36 | 16 | 9 | 11 | 50:47 | 57 |
| ბრეგენცი | 36 | 11 | 12 | 13 | 47:58 | 45 |
| ადმირა | 36 | 11 | 9 | 16 | 42:49 | 42 |
| ზალცბურგი | 36 | 11 | 5 | 20 | 44:48 | 38 |
| მატერსბურგი | 36 | 9 | 10 | 17 | 39:61 | 37 |
| შტურმი | 36 | 8 | 11 | 17 | 39:52 | 35 |
| კერნტენი | 36 | 7 | 11 | 18 | 36:62 | 32 |

## ფინეთი

ვეიკაუსლიგა. IV ტური

ჰიკ 0:0 ჰაკა
ჯაზი 5:1 ჰაამენლინა
ლაჰტი 1:1 კტპ
იარო 1:1 მიუკა
ტპ-47 0:1 ინტერი
ტურკუ 3:1 ალიანსი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჯაზი | 4 | 2 | 1 | 1 | 11:8 | 7 |
| ტურკუ | 4 | 2 | 1 | 1 | 7:4 | 7 |
| ჰაკა | 4 | 2 | 1 | 1 | 5:2 | 7 |
| ჰიკ | 4 | 1 | 3 | 0 | 8:5 | 6 |
| ინტერი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:5 | 6 |
| ტამპერე | 3 | 2 | 0 | 1 | 3:3 | 6 |
| ალიანსი | 4 | 2 | 0 | 2 | 3:4 | 6 |
| კტპ | 4 | 1 | 2 | 1 | 6:6 | 5 |
| მიუპა | 4 | 1 | 2 | 1 | 5:5 | 5 |
| ტპ 47 | 4 | 1 | 2 | 1 | 4:4 | 5 |
| იარო | 4 | 1 | 1 | 2 | 5:6 | 4 |
| ჰამენლინა | 4 | 1 | 1 | 2 | 6:11 | 4 |
| ლაჰტი | 4 | 0 | 3 | 1 | 5:7 | 3 |
| როვანიემი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | 1 |

## შვედეთი

ალსვენსკა. IX ტური

იორგრიტე 1:0 ტრელებორგი
სუნდსვალი 2:0 ჰამარბი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰალმსტადი | 8 | 7 | 1 | 0 | 22:8 | 22 |
| ჰამარბი | 9 | 5 | 2 | 2 | 9:6 | 17 |
| გიოტებორგი | 8 | 4 | 2 | 2 | 9:5 | 14 |
| კალმარი | 8 | 4 | 2 | 2 | 11:8 | 14 |
| მალმიო | 8 | 3 | 4 | 1 | 13:5 | 13 |
| სუნდსვალი | 9 | 2 | 4 | 3 | 9:10 | 10 |
| იორგრიტე | 8 | 2 | 4 | 2 | 8:10 | 10 |
| იორებრო | 8 | 3 | 1 | 4 | 12:18 | 10 |
| ტრელებორგი | 8 | 2 | 3 | 3 | 7:8 | 9 |
| იურგორდენი | 8 | 2 | 3 | 3 | 10:12 | 9 |
| ლანდსკრონა | 8 | 2 | 2 | 4 | 10:13 | 8 |
| ჰელსინგბორგი | 8 | 1 | 4 | 3 | 13:13 | 7 |
| აიკ | 8 | 1 | 3 | 4 | 4:9 | 6 |
| ელფსბორგი | 8 | 0 | 3 | 5 | 3:15 | 3 |

## ბრაზილია

თასის მეოთხედფინალი
საპასუხო მატჩები

*პალმეირასი — სანტო ანდრე* 4:4 (3:3); *ფლამენგო — გრემიო* 0:0 (1:0); *ვიტორია — კორინთიანსი* 2:0 (0:1); *პალმასი — 15 დე ნოვემბრო* 0:1 (0:3)

# სარბიელი და კრონო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **გერმანია. ბუნდესლიგა. XXXIV ტური** | | | | | | |
| | | **22 მაისი** | | | | | | |
| 18.30 | 003 | მიონხენგლადბახი-მიუნხენი | 2,4 | 3,6 | 2,25 | 1,44 | 1,16 | 1,38 |
| 18.30 | 004 | კაიზერსლაუტერნი-დორტმუნდი | 2,6 | 3,0 | 2,4 | 1,39 | 1,24 | 1,33 |
| 18.30 | 005 | ვოლფსბურგი-შალკე | 2,05 | 3,3 | 3,3 | 1,26 | 1,26 | 1,65 |
| 18.30 | 006 | ლევერკუზენი-შტუტგარტი | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |
| 18.30 | 007 | ჰანზა-ვერდერი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 18.30 | 008 | ჰერტა-კიოლნი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 18.30 | 009 | ბოხუმი-ჰანოვერი | 1,3 | 4,2 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,75 |
| 18.30 | 010 | ჰამბურგი-აინტრახტი | 2,3 | 3,6 | 2,3 | 1,4 | 1,15 | 1,4 |
| 18.30 | 011 | ბაიერნი-ფრაიბურგი | 1,15 | 5,6 | 12,5 | 1 | 1,05 | 3,86 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა. XXXIV ტური** | | | | | | |
| | | **23 მაისი** | | | | | | |
| 18.00 | 028 | აუე-უნტერჰახინგი | 2,35 | 2,35 | 2,9 | 1,17 | 1,29 | 1,29 |
| 18.00 | 029 | ფიურტი-ლიუბეკი | 2,4 | 3,5 | 2,0 | 1,42 | 1,09 | 1,27 |
| 18.00 | 030 | არმინია-დუისბურგი | 1,65 | 3,4 | 4,6 | 1,11 | 1,21 | 1,95 |
| 18.00 | 031 | ბურგჰაუზენი-უნიონი | 1,55 | 3,0 | 6,0 | 1,02 | 1,23 | 2 |
| 18.00 | 032 | მაინცი-ტრირი | 1,25 | 4,6 | 7,5 | 1 | 1,07 | 2,85 |
| 18.00 | 033 | კოტბუსი-რეგენსბურგი | 1,5 | 4,2 | 4,2 | 1,1 | 1,1 | 2,09 |
| 18.00 | 035 | ალენი-ნიურნბერგი | 1,7 | 3,4 | 3,5 | 1,13 | 1,14 | 1,72 |
| 18.00 | 036 | კარლსრუე-ალემანია | 2,3 | 3,4 | 2,3 | 1,37 | 1,15 | 1,37 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XXXII ტური** | | | | | | |
| | | **22 მაისი** | | | | | | |
| 17.00 | 041 | ურდინგენი-ვატენშაიდი | 2,15 | 3,1 | 2,5 | 1,26 | 1,15 | 1,38 |
| 17.00 | 044 | კიოლნი(მ)-ვუპერტალი | 2,8 | 3,2 | 1,8 | 1,49 | 1,09 | 1,15 |
| 17.00 | 046 | პადერბორნი-ქემნიცი | 1,45 | 3,3 | 4,8 | 1 | 1,11 | 1,95 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XXXII ტური** | | | | | | |
| | | **22 მაისი** | | | | | | |
| 17.30 | 052 | შვაინფურტი-ერფურტი | 2,2 | 3,1 | 2,4 | 1,28 | 1,14 | 1,35 |
| 17.30 | 053 | ზაარბრიუკენი-ვეენი | 1,9 | 3,2 | 3,4 | 1,19 | 1,21 | 1,64 |
| 17.30 | 054 | აალენი-მაინცი(მ) | 1,9 | 2,9 | 3,6 | 1,14 | 1,24 | 1,6 |
| 17.30 | 055 | კიკერსი-ჰოფენჰაიმი | 1,95 | 3,1 | 3,3 | 1,22 | 1,22 | 1,65 |
| | | **23 მაისი** | | | | | | |
| 17.30 | 056 | ბაიერნი(მ)-შტუტგარტი(მ) | 1,55 | 3,3 | 5,0 | 1,05 | 1,18 | 1,98 |
| | | **იტალია. სერია B. XXXXIII ტური** | | | | | | |
| | | **22 მაისი** | | | | | | |
| 23.30 | 061 | ბარი-კატანია | 1,25 | 3,6 | 7,0 | 1 | 1,06 | 2,37 |
| 23.30 | 063 | ჯენოა-კალიარი | 2,6 | 1,45 | 3,6 | 1 | 1,5 | 1,03 |
| 23.30 | 064 | ლივორნო-ტორინო | 1,15 | 4,0 | 9,0 | 1 | 1,01 | 2,76 |
| 23.30 | 066 | სალერნიტანა-ვენეცია | 2,2 | 1,8 | 6,0 | 1 | 1,6 | 1,38 |
| 23.30 | 068 | ტრევიზო-ვიჩენცა | 2,0 | 1,8 | 6,5 | 1 | 1,52 | 1,4 |
| 23.30 | 070 | ვერონა-პიაჩენცა | 2,7 | 2,5 | 2,7 | 1,29 | 1,35 | 1,29 |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი. XXXVIII ტური** | | | | | | |
| | | **23 მაისი** | | | | | | |
| 22.00 | 012 | ვალენსია-ალბასეტე | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| 24.00 | 013 | სევილია-ოსასუნა | 1,35 | 3,8 | 6,0 | 1 | 1,1 | 2,32 |
| 24.00 | 014 | ბილბაო-ატლეტიკო | 2,3 | 3,4 | 2,3 | 1,37 | 1,15 | 1,37 |
| 24.00 | 015 | სარაგოსა-ბარსელონა | 4,4 | 3,3 | 1,75 | 1,88 | 1,25 | 1,14 |
| 22.00 | 016 | რასინგი-დეპორტივო | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |
| 24.00 | 017 | სელტა-მალიორკა | 1,4 | 4,0 | 5,0 | 1,03 | 1,09 | 2,22 |
| 24.00 | 018 | ესპანიოლი-მურსია | 1,2 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,05 | 3,21 |
| 24.00 | 019 | რეალი-სოსიედადი | 1,45 | 4,0 | 6,5 | 1,06 | 1,18 | 2,47 |
| 22.00 | 020 | მალაგა-ბეტისი | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| 24.00 | 021 | ვალიადოლიდი-ვილიარეალი | 3,0 | 3,6 | 1,75 | 1,63 | 1,1 | 1,17 |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი. XXXVIII ტური** | | | | | | |
| | | **22 მაისი** | | | | | | |
| 21.30 | 072 | ელჩე-ალავესი | 3,2 | 2,35 | 2,35 | 1,35 | 1,35 | 1,17 |
| 22.00 | 081 | სერესი-სალამანკა | 2,1 | 2,6 | 3,8 | 1,16 | 1,35 | 1,54 |
| 24.00 | 073 | ტენერიფე-კადისი | 2,15 | 2,6 | 3,6 | 1,17 | 1,34 | 1,5 |
| | | **23 მაისი** | | | | | | |
| 15.00 | 074 | ლევანტე-ლას პალმასი | 1,5 | 3,4 | 6,5 | 1,04 | 1,21 | 2,23 |
| 20.00 | 075 | ლეგანესი-ხეტაფე | 2,8 | 2,6 | 2,6 | 1,34 | 1,34 | 1,3 |
| 21.00 | 076 | სიუდადი-ალმერია | 2,2 | 2,5 | 3,6 | 1,36 | 1,36 | 1,8 |
| 21.30 | 077 | ნუმანსია-მალაგა ბ | 1,6 | 3,1 | 5,3 | 1,05 | 1,22 | 1,95 |
| 21.00 | 078 | რაიო-ალხესირასი | 1,1 | 3,4 | 6,0 | 1 | 1 | 2,17 |
| 21.00 | 079 | ტერასა-უელვა | 2,8 | 2,6 | 2,6 | 1,34 | 1,34 | 1,3 |
| 22.00 | 080 | ეხიდო-კორდობა | 2,2 | 2,6 | 3,5 | 1,19 | 1,35 | 1,49 |
| 21.00 | 082 | ეიბარი-სპორტინგი | 2,9 | 2,6 | 2,5 | 1,37 | 1,34 | 1,27 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი. XXXVIII ტური** | | | | | | |
| | | **23 მაისი** | | | | | | |
| 23.00 | 085 | აიაჩო-მეცი | 1,35 | 3,6 | 6,5 | 1 | 1,11 | 2,31 |
| 23.00 | 086 | ბასტია-პსჟ | 2,9 | 2,7 | 2,4 | 1,39 | 1,31 | 1,27 |
| 23.00 | 087 | ლე მანი-ლანსი | 1,85 | 3,4 | 3,4 | 1,19 | 1,19 | 1,7 |
| 23.00 | 088 | ლიონი-ლილი | 1,5 | 3,4 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,17 |
| 23.00 | 089 | მარსელი-გენგამი | 2,2 | 3,3 | 2,0 | 1,32 | 1,04 | 1,24 |
| 23.00 | 090 | ნანტი-სოშო | 2,4 | 3,0 | 2,7 | 1,33 | 1,27 | 1,42 |
| 23.00 | 091 | ნიცა-ოსერი | 3,0 | 3,1 | 2,25 | 1,52 | 1,28 | 1,3 |
| 23.00 | 092 | რენი-მონპელიე | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1,03 | 1,18 | 2,31 |
| 23.00 | 093 | სტრასბური-ტულუზი | 3,3 | 3,2 | 1,85 | 1,62 | 1,18 | 1,17 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი. XXXVIII ტური** | | | | | | |
| | | **22 მაისი** | | | | | | |
| 23.00 | 095 | ამიენი-ლავალი | 2,1 | 2,8 | 2,0 | 1,19 | 1,02 | 1,16 |
| 23.00 | 096 | ბეზანსონი-გრენობლი | 2,15 | 2,7 | 3,4 | 1,19 | 1,31 | 1,5 |
| 23.00 | 097 | კაენი-ტრუა | 1,7 | 3,0 | 5,0 | 1,08 | 1,26 | 1,87 |
| 23.00 | 098 | კრეტეი-ნიორი | 2,25 | 2,7 | 3,4 | 1,22 | 1,35 | 1,5 |
| 23.00 | 099 | ლორიანი-გენიონი | 2,0 | 3,2 | 2,0 | 1,23 | 1 | 1,23 |
| 23.00 | 100 | ნანსი-ლე ავრი | 2,0 | 2,7 | 4,2 | 1,14 | 1,35 | 1,64 |
| 23.00 | 101 | რუანი-კლერმონი | 2,35 | 2,7 | 3,0 | 1,25 | 1,31 | 1,42 |
| 23.00 | 102 | სტ.ეტიენი-შატორუ | 1,5 | 3,2 | 6,5 | 1,02 | 1,21 | 2,14 |
| 23.00 | 103 | სედანი-ისტრი | 2,0 | 2,8 | 4,0 | 1,16 | 1,33 | 1,64 |
| 23.00 | 104 | ვალანსი-ანჟე | 2,0 | 2,5 | 4,2 | 1,11 | 1,35 | 1,56 |
| | | **ჰოლანდია. პლეი-ოფი** | | | | | | |
| | | **22 მაისი** | | | | | | |
| 22.30 | 110 | ჰელმონდი-სპარტა | 2,4 | 3,2 | 2,5 | 1,37 | 1,22 | 1,4 |
| 23.00 | 111 | ვიტესი-ვენლო | 1,45 | 3,8 | 6,0 | 1,04 | 1,16 | 2,32 |
| 22.30 | 112 | ექსელსიორი-ჰერაკლესი | 1,7 | 3,4 | 4,2 | 1,13 | 1,21 | 1,87 |
| 22.30 | 113 | ვოლენდამი-გრააფსხაპი | 1,8 | 3,4 | 3,5 | 1,17 | 1,18 | 1,72 |
| | | **შვეიცარია. სუპერლიგა. XXXVI ტური** | | | | | | |
| | | **22 მაისი** | | | | | | |
| 20.30 | 131 | სტ.გალენი-სერვეტი | 1,9 | 3,3 | 3,5 | 1,2 | 1,23 | 1,69 |
| 23.15 | 132 | ბაზელი-იანგ ბოიზი | 1,75 | 3,3 | 4,2 | 1,14 | 1,23 | 1,84 |
| | | **23 მაისი** | | | | | | |
| 19.15 | 133 | თუნი-ვილი | 1,4 | 4,0 | 5,0 | 1,03 | 1,09 | 2,22 |
| 19.15 | 134 | ქსამაქსი-გრასჰოპერი | 2,3 | 3,3 | 2,6 | 1,35 | 1,22 | 1,45 |
| 19.15 | 135 | ციურიხი-აარაუ | 1,55 | 3,6 | 5,3 | 1,08 | 1,19 | 2,14 |
| | | **დანია. სუპერლიგა. XXXII ტური** | | | | | | |
| | | **23 მაისი** | | | | | | |
| 18.00 | 147 | აკადემისკი-ორჰუსი | 3,0 | 3,4 | 2,05 | 1,59 | 1,21 | 1,27 |
| 18.00 | 148 | ჰერფიოლგე-ნორდსიელანდი | 2,4 | 2,7 | 3,0 | 1,27 | 1,33 | 1,42 |
| 18.00 | 149 | მიდტიულანდი-ესბიერგი | 2,4 | 3,4 | 2,4 | 1,4 | 1,2 | 1,4 |
| 18.00 | 151 | ფრემი-ბრიონდბიუ | 5,0 | 3,8 | 1,5 | 2,15 | 1,15 | 1,07 |
| 18.00 | 152 | ვიბორგი-ოდენსე | 3,0 | 3,4 | 1,95 | 1,59 | 1,18 | 1,23 |
| | | **დანია. I დივიზიონი. XXVI ტური** | | | | | | |
| | | **22 მაისი** | | | | | | |
| 18.00 | 155 | ნორდიულანდი-ნიკიობინგი | 2,2 | 3,5 | 2,6 | 1,35 | 1,19 | 1,49 |
| | | **ისლანდია. პრემიერ დივიზიონი. II ტური** | | | | | | |
| | | **22 მაისი** | | | | | | |
| 22.00 | 247 | ფილკირი-ჰაფნარფიორდური | 2,1 | 3,2 | 3,0 | 1,26 | 1,23 | 1,54 |
| | | **საბერძნეთი. I დივიზიონი. XXX ტური** | | | | | | |
| | | **22 მაისი** | | | | | | |
| 19.20 | 259 | ოლიმპიაკოსი-ეგალეო | 1,15 | 5,3 | 11,0 | 1 | 1,04 | 3,57 |
| 19.20 | 260 | პანილიაკოსი-პანათინაიკოსი | 11,0 | 5,3 | 1,15 | 3,57 | 1,04 | 1 |
| | | **რუსეთი. პრემიერლიგა. XIII ტური** | | | | | | |
| | | **22 მაისი** | | | | | | |
| 16.00 | 276 | ამკარი-ცსკა | 4,8 | 3,3 | 1,65 | 1,95 | 1,22 | 1,1 |
| 16.00 | 277 | კრილია-ლოკომოტივი | 2,6 | 2,8 | 2,6 | 1,34 | 1,3 | 1,34 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 278 | ზენიტი-ყუბანი | 1,3 | 4,4 | 9,0 | 1 | 1,13 | 2,95 |

**23 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 279 | დინამო-როსტოვი | 1,6 | 3,4 | 5,0 | 1,08 | 1,21 | 2,02 |
| 16.00 | 280 | რუბინი-მოსკოვი | 1,7 | 3,3 | 4,4 | 1,12 | 1,22 | 1,88 |
| 16.00 | 281 | შინიკი-სატურნი | 2,4 | 2,8 | 3,0 | 1,29 | 1,33 | 1,44 |
| 16.00 | 282 | სპარტაკი-ალანია | 1,65 | 3,4 | 4,6 | 1,11 | 1,21 | 1,95 |
| 16.00 | 283 | ტორპედო-როტორი | 1,25 | 4,6 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,04 |

**უკრაინა. პრემიერლიგა. XXVI ტური**

**22 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 291 | დნიპრო-დინამო | 3,1 | 2,7 | 2,3 | 1,44 | 1,32 | 1,24 |

**სლოვაკეთი. I ლიგა. XXXII ტური**

**22 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 303 | პუხოვი-რუჟომბეროკი | 2,35 | 3,1 | 2,6 | 1,33 | 1,23 | 1,41 |
| 20.00 | 304 | დუბნიცა-ინტერი | 1,85 | 3,1 | 3,6 | 1,15 | 1,22 | 1,66 |
| 20.00 | 305 | ბ.ბისტრიცა-ტრნავა | 1,6 | 3,4 | 4,6 | 1,08 | 1,18 | 1,95 |
| 21.00 | 306 | სლოვანი-პეტრჟალკა | 2,15 | 3,1 | 2,9 | 1,26 | 1,23 | 1,49 |
| 23.00 | 307 | ჟილინა-ტრენჩინი | 1,5 | 3,6 | 5,3 | 1,05 | 1,16 | 2,14 |

**პოლონეთი. I ლიგა. XXIV ტური**

**22 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 317 | ოდრა-გურნიკი | 1,8 | 3,0 | 3,8 | 1,12 | 1,22 | 1,67 |
| 22.00 | 318 | პოლონია-პოლკოვიცე | 1,7 | 3,3 | 4,2 | 1,12 | 1,21 | 1,84 |
| 22.00 | 320 | კატოვიცე-ამიკა | 3,0 | 2,6 | 2,0 | 1,39 | 1,2 | 1,13 |
| 23.00 | 321 | გროცლინი-ლეგია | 2,8 | 2,9 | 2,4 | 1,42 | 1,29 | 1,31 |

**23 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 322 | ვიძევი-პლოცკი | 2,0 | 3,4 | 2,3 | 1,25 | 1,06 | 1,37 |

**უნგრეთი. NB1. XXXI ტური**

**22 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 333 | დებრეცენი-ბალატონი | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| 22.00 | 334 | სოპრონი-მტკ | 2,1 | 3,2 | 3,1 | 1,26 | 1,25 | 1,57 |

**23 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 14.30 | 332 | უიპეშტი-ფერენცვაროში | 2,4 | 3,0 | 2,7 | 1,33 | 1,27 | 1,42 |

**ბრაზილია. სერია A. VII ტური**

**22 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 338 | ბოტაფოგო-ფიგეირენსე | 2,5 | 3,2 | 2,4 | 1,4 | 1,22 | 1,37 |
| 24.00 | 339 | პაისანდუ-გრემიო | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,33 | 1,24 | 1,46 |
| 02.00 | 340 | ინტერნასიონალი-გოიასი | 1,7 | 3,3 | 4,4 | 1,12 | 1,22 | 1,88 |
| 02.00 | 341 | კურიტიბა-ატლეტიკო მნ | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,17 | 1,22 | 1,69 |

**23 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 342 | კრიკიუმა-ვიტორია | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,15 | 1,22 | 1,73 |
| 24.00 | 343 | ჟუვენტუდი-გუარანი | 1,65 | 3,4 | 4,6 | 1,11 | 1,21 | 1,95 |
| 24.00 | 344 | პარანა-პონტე პრეტა | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,17 | 1,22 | 1,69 |
| 24.00 | 345 | სანტოსი-პალმეირასი | 1,95 | 3,2 | 3,4 | 1,21 | 1,23 | 1,64 |
| 24.00 | 346 | სან კაეტანო-ვასკუ და გამა | 1,65 | 3,4 | 4,6 | 1,11 | 1,21 | 1,95 |
| 24.00 | 347 | ფლამენგო-ფლუმინენსე | 2,4 | 3,2 | 2,5 | 1,37 | 1,22 | 1,4 |
| 02.00 | 349 | კორინთიანსი-ატლეტიკო პრ | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,17 | 1,22 | 1,69 |

**არგენტინა**

**კლაუსურა. XV ტური**

**22 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 357 | ესტუდიანტესი-ტალიერესი | 2,35 | 3,1 | 2,7 | 1,33 | 1,25 | 1,44 |
| 05.10 | 354 | ბანფილდი-სან ლორენსო | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,17 | 1,22 | 1,69 |

**23 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.10 | 355 | ინდეპენდიენტე-რასინგი | 2,5 | 3,1 | 2,45 | 1,38 | 1,23 | 1,36 |
| 23.30 | 356 | კოლონი-ხამნასია | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| 23.30 | 358 | ნიუელსი-ლანუსი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| 23.30 | 359 | ოლიმპო-როსარიო | 1,9 | 3,3 | 3,4 | 1,2 | 1,21 | 1,67 |
| 23.30 | 360 | რივერ პლეიტი-ჩაკარიტა | 1,25 | 4,6 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,04 |
| 23.10 | 361 | ნუევა ჩიკაგო-ატლეტიკო | 2,2 | 3,2 | 2,9 | 1,3 | 1,25 | 1,52 |
| 02.30 | 362 | კილმესი-ბოკა ხუნიორსი | 3,3 | 3,2 | 1,95 | 1,62 | 1,22 | 1,21 |

**ურუგვაი. პრიმერა. XII ტური**

**22 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 461 | ბელა ვისტა-ნასიონალი | 5,6 | 3,5 | 1,6 | 2,15 | 1,24 | 1,09 |
| 23.30 | 462 | დანუბიო-სერიტო | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| 23.30 | 463 | დეფენსორი-პლასა | 2,0 | 3,2 | 3,2 | 1,23 | 1,23 | 1,6 |

**23 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 464 | კოლონია-სერო | 2,0 | 3,2 | 3,2 | 1,23 | 1,23 | 1,6 |
| 23.30 | 465 | ლივერპული-პენიაროლი | 2,6 | 3,2 | 2,35 | 1,43 | 1,23 | 1,35 |
| 23.30 | 466 | მირამარი-ტაკუარემბო | 2,1 | 3,2 | 3,0 | 1,26 | 1,23 | 1,54 |
| 23.30 | 467 | უონდერერსი-ფენიქსი | 2,45 | 3,1 | 2,5 | 1,36 | 1,23 | 1,38 |
| 23.30 | 468 | რენტისტასი-სენტრალი | 1,8 | 3,1 | 4,0 | 1,13 | 1,24 | 1,74 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ჩილე. აპერტურა. 1/8 ფინალი. პლეი-ოფი. II მატჩები**

**22 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 02.00 | 379 | კონსეპსიონი-ტემუკო | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |
| 01.00 | 382 | კოლო კოლო-აუდაქსი | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |

**23 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 02.00 | 378 | უნ.ჩილე-უნ.ესპანიოლა | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,17 | 1,22 | 1,69 |
| 00.30 | 380 | კოკიმბო-უაჩიპატო | 1,55 | 3,5 | 5,3 | 1,07 | 1,19 | 2,1 |
| 01.00 | 381 | კობრელოა-სან ფელიპე | 1,3 | 4,2 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,75 |
| 01.00 | 383 | უონდერერსი-რეინჯერსი | 1,35 | 4,0 | 7,5 | 1 | 1,14 | 2,6 |

**აშშ. MLS. VIII ტური**

**22 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 02.00 | 396 | ნიუ ინგლენდი-ნიუ იორკი | 2,4 | 3,0 | 2,7 | 1,33 | 1,27 | 1,42 |
| 05.30 | 397 | კანზასი-დალასი | 1,95 | 3,0 | 2,6 | 1,18 | 1,11 | 1,39 |
| 06.00 | 398 | კოლორადო-ვაშინგტონი | 2,05 | 3,1 | 3,3 | 1,23 | 1,26 | 1,59 |
| 07.00 | 399 | სან ხოსე-ლოს ანჯელესი | 2,3 | 3,0 | 2,9 | 1,3 | 1,28 | 1,47 |

**23 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 01.00 | 400 | ჩიკაგო-კოლამბუსი | 1,6 | 3,3 | 5,0 | 1,07 | 1,21 | 1,98 |

**იაპონია. ჯეი ლიგა. XI ტური**

**22 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10.00 | 401 | კაშიმა-ტოკიო | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,17 | 1,22 | 1,69 |
| 11.00 | 402 | იჩიპარა-ჩერეძო | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |
| 11.00 | 403 | შიმიცუ-ოიტა | 2,0 | 3,1 | 3,4 | 1,21 | 1,25 | 1,62 |
| 12.00 | 404 | გამბა-კობე | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,19 | 1,23 | 1,67 |
| 14.30 | 405 | ჰიროსიმა-კაშივა | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,19 | 1,23 | 1,67 |
| 15.00 | 406 | ვერდი-ურავა | 2,7 | 3,0 | 2,4 | 1,42 | 1,27 | 1,33 |

**23 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11.00 | 407 | ნიიგატა-ივატა | 4,6 | 3,3 | 1,65 | 1,92 | 1,21 | 1,1 |
| 11.00 | 408 | იოკოჰამა-ნაგოია | 1,55 | 3,4 | 5,6 | 1,06 | 1,21 | 2,11 |

**ინგლისი. თასი. ფინალი**

**22 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 002 | მანჩესტერი-მილუოლი | 1,28 | 4,6 | 10,0 | 1 | 1,13 | 3,15 |

**შოტლანდია. თასი. ფინალი**

**22 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 410 | დანფერმლაინი-სელტიკი | 9,0 | 5,0 | 1,25 | 3,21 | 1,09 | 1 |

**ჰოლანდია. თასი. ფინალი**

**23 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 411 | ტვენტე-უტრეხტი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |

**ბელგია. თასი. ფინალი**

**23 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 412 | ბევერენი-ბრიუგე | 5,6 | 3,6 | 1,5 | 2,19 | 1,18 | 1,05 |

**ავსტრია. თასი. ფინალი**

**23 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 413 | გრაცერი-აუსტრია | 2,6 | 3,1 | 2,45 | 1,41 | 1,26 | 1,36 |

**თასის აღება**

**22 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 7002 | მანჩესტერი-მილუოლი | 1,1 | 5,0 | | | | |

**ჰოკეი. NHL**

**22 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 1006 | ტამპა ბეი-ფილადელფია | 2,0 | 3,5 | 2,9 | 1,27 | 1,18 | 1,58 |

**კალათბურთი. იტალია**

**22 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 1060 | სკავოლინი-ნაპოლი | 1,3 | 10,0 | 2,5 | 1,15 | 1 | 2 |

**კალათბურთი.ესპანეთი**

**22 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 1074 | ბარსელონა-უნიკახა | 1,2 | 10,0 | 3,2 | 1,07 | 1 | 2,42 |

**კალათბურთი. საბერძნეთი**

**23 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 1082 | პანათინაიკოსი-ირაკლისი | 1,15 | 10,0 | 4,0 | 1,03 | 1 | 2,85 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

**რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს**

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5402 | მანჩესტერი-მილუოლი | 1,25 | 3,7 |

**გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)**

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 5302 | მანჩესტერი-მილუოლი | 1,75 | 1,85 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5102 | მანჩესტერი-მილუოლი | 1,5 | 15,0 | 40,0 | 3,5 | 6,0 | 18,0 | 20,0 | 17,0 | 17,0 |

**I ტაიმის შედეგი**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5002 | მანჩესტერი-მილუოლი | 1,4 | 3,3 | 8,0 | 1 | 1,19 | 2,33 |

**რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)**

| | | | |
|---|---|---|---|
| 5202 | მანჩესტერი-მილუოლი | 2,1 | 1,55 |

**რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი**

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 5502 | მანჩესტერი-მილუოლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |

# ევროპის ჩემპიონატი 2004. ჯგუფური ეტაპი

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **12 ივნისი** | | | | | | |
| 21.00 | 001 | პორტუგალია-საბერძნეთი | 1,55 | 3,3 | 7,0 | 1,05 | 1,26 | 2,24 |
| 23.45 | 002 | ესპანეთი-რუსეთი | 1,6 | 3,3 | 6,0 | 1,07 | 1,26 | 2,12 |
| | | **13 ივნისი** | | | | | | |
| 21.00 | 003 | შვეიცარია-ხორვატია | 2,9 | 3,2 | 2,3 | 1,52 | 1,28 | 1,33 |
| 23.45 | 004 | საფრანგეთი-ინგლისი | 2,05 | 3,1 | 3,5 | 1,23 | 1,29 | 1,64 |
| | | **14 ივნისი** | | | | | | |
| 21.00 | 005 | დანია-იტალია | 4,6 | 3,2 | 1,75 | 1,88 | 1,26 | 1,13 |
| 23.45 | 006 | შვედეთი-ბულგარეთი | 2,2 | 3,1 | 3,2 | 1,28 | 1,3 | 1,57 |
| | | **15 ივნისი** | | | | | | |
| 21.00 | 007 | გერმანია-ჰოლანდია | 2,9 | 3,1 | 2,35 | 1,49 | 1,29 | 1,33 |
| 23.45 | 008 | ჩეხეთი-ლატვია | 1,35 | 4,0 | 9,0 | 1 | 1,17 | 2,76 |
| | | **16 ივნისი** | | | | | | |
| 21.00 | 009 | საბერძნეთი-ესპანეთი | 7,0 | 3,5 | 1,5 | 2,33 | 1,23 | 1,04 |
| 23.45 | 010 | რუსეთი-პორტუგალია | 5,6 | 3,4 | 1,6 | 2,11 | 1,24 | 1,08 |
| | | **17 ივნისი** | | | | | | |
| 21.00 | 011 | ინგლისი-შვეიცარია | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| 23.45 | 012 | ხორვატია-საფრანგეთი | 6,0 | 3,5 | 1,55 | 2,21 | 1,23 | 1,07 |
| | | **18 ივნისი** | | | | | | |
| 21.00 | 013 | ბულგარეთი-დანია | 3,1 | 3,2 | 2,2 | 1,57 | 1,28 | 1,3 |
| 23.45 | 014 | იტალია-შვედეთი | 1,75 | 3,2 | 4,6 | 1,13 | 1,26 | 1,88 |
| | | **19 ივნისი** | | | | | | |
| 21.00 | 015 | ლატვია-გერმანია | 7,5 | 4,0 | 1,4 | 2,6 | 1,17 | 1,03 |
| 23.45 | 016 | ჰოლანდია-ჩეხეთი | 2,35 | 3,1 | 2,9 | 1,33 | 1,29 | 1,49 |
| | | **20 ივნისი** | | | | | | |
| 23.45 | 017 | ესპანეთი-პორტუგალია | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,3 | 1,39 |
| 23.45 | 018 | რუსეთი-საბერძნეთი | 2,35 | 3,1 | 2,9 | 1,33 | 1,29 | 1,49 |
| | | **21 ივნისი** | | | | | | |
| 23.45 | 019 | ხორვატია-ინგლისი | 4,4 | 3,3 | 1,75 | 1,88 | 1,25 | 1,14 |
| 23.45 | 020 | შვეიცარია-საფრანგეთი | 8,0 | 4,2 | 1,35 | 2,75 | 1,15 | 1,02 |
| | | **22 ივნისი** | | | | | | |
| 23.45 | 021 | იტალია-ბულგარეთი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 23.45 | 022 | დანია-შვედეთი | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,3 | 1,39 |
| | | **23 ივნისი** | | | | | | |
| 23.45 | 023 | ჰოლანდია-ლატვია | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| 23.45 | 024 | გერმანია-ჩეხეთი | 2,6 | 3,1 | 2,5 | 1,41 | 1,27 | 1,38 |

| | 6001 ჩემპიონი | 6101 ფინალი | 6201 ჯგ.Iადგ. | 6301 ჯგ.გასვ | 6401 ჯგ.ვერ.გასვ |
|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 4,5 | 2,2 | 1,75 | 1,15 | 4,0 |
| იტალია | 4,5 | 2,2 | 1,65 | 1,12 | 4,4 |
| პორტუგალია | 6,0 | 3,0 | 2,1 | 1,2 | 3,5 |
| ესპანეთი | 6,0 | 3,0 | 2,1 | 1,25 | 3,1 |
| ინგლისი | 6,0 | 3,0 | 2,5 | 1,3 | 2,8 |
| ჰოლანდია | 8,0 | 4,0 | 2,5 | 1,3 | 2,8 |
| ჩეხეთი | 12,0 | 6,0 | 2,8 | 1,5 | 2,2 |
| გერმანია | 15,0 | 7,0 | 3,1 | 1,55 | 2,1 |
| შვედეთი | 25,0 | 12,0 | 4,5 | 1,9 | 1,7 |
| დანია | 30,0 | 13,0 | 4,6 | 1,95 | 1,65 |
| რუსეთი | 50,0 | 25,0 | 8,0 | 3,2 | 1,23 |
| ხორვატია | 50,0 | 20,0 | 8,0 | 2,9 | 1,27 |
| ბულგარეთი | 50,0 | 25,0 | 7,5 | 2,9 | 1,27 |
| საბერძნეთი | 75,0 | 35,0 | 8,0 | 3,8 | 1,16 |
| შვეიცარია | 75,0 | 35,0 | 12,0 | 3,8 | 1,16 |
| ლატვია | 200,0 | 75,0 | 30,0 | 8,0 | 1,02 |

## ფორმულა 1. მონაკო. 22 მაისი

| | 8001 გამარჯვებული | 8201 ექვსეული | | 8301 უსწრ. წრე |
|---|---|---|---|---|
| მ.შუმახერი | 1,45 | 1,07 | 1,03 | 1,6 |
| ბარიკელო | 6,0 | 1,65 | 1,1 | 4,0 |
| მონტოია | 6,0 | 1,65 | 1.1 | 4,0 |
| რ.შუმახერი | 15,0 | 3,5 | 1,2 | 8,0 |
| კულტჰარდი | 30,0 | 6,0 | 1,4 | 15,0 |
| რაიკონენი | 30,0 | 6,0 | 1,4 | 15,0 |
| ტრული | 18,0 | 4,0 | 1,2 | 9,0 |
| ალონსო | 12,0 | 2,3 | 1,15 | 7,0 |
| ბატონი | 6,0 | 1,55 | 1,1 | 4,0 |
| სატო | 35,0 | 7,0 | 1,55 | 20,0 |
| ფიზიკელა | 100,0 | 25,0 | 3,5 | 40,0 |
| მასა | 150,0 | 30,0 | 4,0 | 50,0 |
| უებერი | 75,0 | 12,0 | 2,3 | 30,0 |
| კლიენი | 150,0 | 30,0 | 4,0 | 50,0 |
| და მატა | 150,0 | 30,0 | 4,0 | 50,0 |
| პანისი | 150,0 | 30,0 | 4,0 | 50,0 |
| ჰაიდფელდი | 300,0 | 50,0 | 7,0 | 75,0 |
| პანტანო | 300,0 | 50,0 | 7,0 | 75,0 |
| ბრუნი | 500,0 | 100,0 | 12,0 | 100,0 |
| ბაუმგარტნერი | 500,0 | 100,0 | 12,0 | 100,0 |


გენერალური სპონსორი

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

**ფეხბურთი**

**დავით ყიფიანის თასის ფინალი**

**დინამო თბილისი**

VS

**ტორპედო ქუთაისი**

**26 მაისი. ლოკომოტივის სტადიონი.**
**დასაწყისი 20:00**

პროფესიული ფეხბურთის ლიგა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია გეპატიჟებიან ფინალურ მატჩზე. მობრძანდით, ისიამოვნეთ ფეხბურთით, თქვენ გელით სიურპრიზები ლიგის გენერალური სპონსორისაგან და ასევე პროფლიგის და სფფ-ის პარტნიორებისაგან

დასწრება უფასოა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ჩემპიონატი

## პლეი ოფი. ფინალი სამ მოგებამდე მეხუთე მატჩი

*დღეს ვერის ბაღში რაღაც იდუმალ ქარიზმიანი საჩემპიონო მატჩია. ფინალური სერიის ეს მე-5 და გადამწყვეტი შეხვედრა მარტო იმიტომაა უცნაური, რომ წესით და რიგით ის არ უნდა გამართულიყო. რატომ? სწორედ ამის ახსნას ვეცდებით ამ წინასაფინალო სტატიაში*

# ბოლო შანსი? ვისთვის როგორ

„დინამო" და „ბასკო" ფინალამდე სხვადასხვა გზით მოვიდნენ. „ბასკო" იქნებ ვერც მოსულიყო და საერთოდაც დაიშლებოდა, კალათბურთის ფედერაციას რადიკალური ზომები რომ არ მიეღო და სეზონის ბოლოს ფაქტობრივად დაშლილი გუნდის მოთამაშეთათვის სხვაგან გადასვლა რომ არ აეკრძალა. „ბასკომ" უკაპიკოდ გააგრძელა არსებობა და ამით ქართულმა კალათბურთმა მხოლოდ მოიგო. ჯერჯერობით „ბასკოც" იგებს.

ეს ფინალი შარშანდელის გამეორებაა და ჩემპიონის გარკვევას მაშინაც მეხუთე შეხვედრა დასჭირდა. იმ და დღევანდელ „ბასკოს" ერთმანეთს ვერაფრით შევადარებთ და იგივეს თქმა შეიძლება „დინამოზეც". ოღონდ თუ ბათუმელთა შემთხვევაში ყველაფერი უარესობისკენ შეიცვალა, თბილისელების საქმე პირიქითაა.

„დინამოს" შარშანდელ ფინალშიც ჰყავდა დღევანდელი მწვრთნელი დრაგენ ბრაიკოვიჩი, რომელმაც წინამორბედ ლევან მოსეშვილის შერჩეული შემადგენლობა დაიწუნა, ნაკრების თავკაცის პოსტით ისარგებლა და მისი აზრით ყველა ძლიერ ქართველ კალათბურთელს დილმის ბაზაზე დაუძახა. „ნაკრების შეკრების" მონაწილეებს ხორვატი კარგა ხანი აკვირდებოდა და საბოლოოდ ის შემადგენლობა შეარჩია, რომლისგანაც შემდეგ „დინამო" შეადგინა.

ბათუმში კი ასლან აბაშიძის საქართველოდან გადახვეწამდეც იყო პრობლემები. ჩემპიონატის დაწყებამდე „ბასკოს" ბიუჯეტი შეუკვეცეს და მწვრთნელმა ნუგზარ კანდელაკმაც სრულიად ახალი გუნდის შერჩევა დაიწყო. მას საგანგებო შეკრება არ დასჭირვებია, ქართულ ჩემპიონატში ჭიპმოჭრილი კაცია, ყველას მოხარშულს იცნობს და თავდაპირველად ფიქრებში შეარჩია ის კალათბურთელები, რომელთაგანაც არაერთი უფულობის გამო ვერ დაითანხმა თანამშრომლობაზე. „ბასკოს" ერთადერთი სახელიანი მოთამაშე შერჩა — მანამდე თურქულ „თედ კოლეჯში" განათხოვრებული





დავით ბერძენიშვილი, ხოლო დანარჩენ საშუალო გაქანების მოთამაშეებისგან კანდელაკმა მაინც დააბალანსა მშვენიერი გუნდი. ოღონდ ამ გუნდს ამხელა „დინამოსთან" ჭიდაობას ვინ დააძალებდა?

ბრაიკოვიჩის გუნდის ჩემპიონობა დროის ამბავიაო, ამბობდა ყველა და ჩვენც მათ შორის. მაგრამ ბობოქარი დასაწყისის შემდეგ „დინამო" „ბასკოს" შეეყარა და დამარცხდა. ჩემპიონმა მომდევნო ორი შეხვედრაც წააგო ვიცეჩემპიონთან და მხოლოდ მაშინ იმარჯვა, როცა „ბასკოში" აღარც ხელფასები რიგდებოდა და ბათუმშიც კალათბურთისთვის აღარავის ცხელოდა.

„ბასკოს" გაკოტრება „ვარდების რევოლუციის" ბათუმურმა ტალღამ გამოიწვია და კანდელაკის გუნდმაც ისეთი შესაცოდი იერი მიიღო, რომ თსუ-მ და სტუ-მ რეგულარულის მიწურულს მოგებები გარდიგარდმო ურიგეს მაჩანჩალებს, რათა დინამოელთა ნაცვლად ნახევარფინალში ზღვისპირელებს შეხვედროდნენ. ცხრილში უფრო მეტად დაქვეითება ტექნიკოსებმა მოახერხეს, მაგრამ როგორც ხედავთ, უვარჯიშებელი „ბასკო" ბრაიკოვიჩისდა ჭირად მაინც ფინალშია. ნუგზარ კანდელაკს არაერთხელ უქთვამს, „დინამოს" ჩვენზე ძლიერი შემადგენლობა ჰყავს და პირობებზე ხომ ლაპარაკიც არ ღირსო. მისი თქმა არცაა საჭირო, ისედაც ჩანს, რომ ასეა.

ფინალური სერიის უკვე ოთხმა მატჩმა ჩაიარა, თუმც ჩემპიონი ჯერაც უცნობია.

ვინ იჩემპიონებს დღეს?

ჩემპიონმა [illegible] წააგოს, კლუბში [illegible] ისეთი რამ მოხდება, ჩვენში მონასტრის არევას რომ ეძახიან. გუნდის მფლობელი ბადრი პატარკაციშვილი არც ისე გულუბრყვილოა, რომ ასობით ათასი დოლარის სანაცვლოდ ვერცხლის მედალს დასჯერდეს, და თუ მაინც მოუწია, ის ალბათ წამოიწყებს „დინამოს" კარდინალურ რესტავრაციას.

ეს რომ არ მოხდეს, დღეს შედარებით სუსტი, უხელფასო და უვარჯიშებელი „ბასკოს" დამარცხებაა საჭირო. თუ „დინამო" ნაღდ ბრძოლაში მოუგებს მეტოქეს, შეარგოს საჩემპიონო ოქრო, „ბასკომ" ისედაც შესაძლებელზე მეტი შეძლო. ფული ბევრს წყვეტს, ოღონდ ჩვენ არ გვინდა დავიჯეროთ, რომ ყველაფერს წყვეტს, ესაა და ეს. უბრალოდ, ასეთი რამ ქართულ სპორტში ბევრჯერ გვინახავს და არ გვინდა, კიდევ ერთხელ ვიხილოთ უფულოს და უპოვარის დაჩაგვრა.

გინდათ ერთი, უკვე ყველასგან გამოთქმული ვარაუდი? დღეს რომ „დინამომ" წააგოს, ნაკრების მწვრთნელის დრაგენ ბრაიკოვიჩის აქამდეც გვარიანად შელახული პრესტიჟი საბოლოოდ გაითელება და მაშინ ფედერაციას ნაღდად მოუწევს მოსკოვიდან პაველ გოო[illegible]ს „არენდით" წამოყვანა — ეროვნულ გუნდს ქართველთან წაგებული ევროპელი ხომ ვერ გაწვრთნის?! ერთი სიტყვით, ძალიან ბევრს წყვეტს მოედანსგარეთა გარემოებები.

ნუგზარ კანდელაკის მხარეს ერთი გარემოებაა — თავისი სამწვრთნელო ალღოს წყალობით მან ამ სეზონში რვა შეხვედრიდან ხუთჯერ დაამარცხა ბრაიკოვიჩი, აქედან ბოლო მატჩში საერთოდ სამწვრთნელო საქმეში გაკვეთილი ჩაუტარა.

სხვა რა მოგახსენოთ, ხვალ ოთხიოდათასიან ვერის დარბაზში ალბათ ყველას არ შეგხვდებათ სკამი.

როგორი თამაში იქნება?

საჩემპიონო!

**ირაკლი პერტაია**

# 2004 NBA Playoffs

— 18 აპრილი —

**აღმოსავლეთი**

***დეტროიტი 4:3 ნიუ ჯერსი***

**დეტროიტი 90:69 ნიუ ჯერსი**

**დეტროიტი:** ბილაფსი (22), ჰამილტონი (21), პრინსი (3), რ. ვოლესი (12), ბ. ვოლესი (18); უილიამსონი (8), ოქური (4), ჯეიმსი (2), ჰანტერი, მილიჩიჩი, ჰემი

**ნიუ ჯერსი:** კიდი (0 ქულა), კიტლზი (18), ჯეფერსონი (17), მარტინი (17 ქულა, 12 მოხსნა), კოლინზი (2); როჯერსი (13), უილიამსი (2), ჰარისი, სკალაბრინი, არმსტრონგი, სლეი, პლანინიჩი

„დეტროიტმა" ყველასთან ასე რომ გამოიღოს ხელი, ვერც „ლეიკერსი" შეაშინებს და ვერც სხვა ბობოლა დასავლელი. „პისონზის" მწვრთნელმა ლარი ბრაუნმა მშვენივრად იცის, თამაშს დაცვა იგებს და ხანგრძლივ კარიერაში მეორე ზოგადსაკაცობრიო ფორმულაც ხუთიანზე აუთვისებია — საუკეთესო თავდაცვა შეტევაა. ჰოდა, ვიცე-ჩემპიონ „ნიუ ჯერსისთან" გადამწყვეტ მატჩში ბრაუნის ზორბა ბიჭებმა ეს პრინციპები თამაშში განახორციელეს. შედეგს ნურც იკითხავთ, ისეც მოგახსენებთ — „ნიუ ჯერსი" საწყის წუთებში შვიდი ქულით დაწინაურდა, მაგრამ მერე ავტოქალაქელებმა მთელი სიმძლავრით ჩართეს თორმეტცილინდრიანი ძრავები და შარშანდელ ფინალისტსაც ისღა დარჩენოდა, მორჩილად მოეცადა მატჩის დასასრულისთვის და შემდეგ თავჩახრილი გაბრუნებულიყო თავის ისტ რეზერფორდში.

# გმირი არა განგმირული

## ნიუ ჯერსის კალათბურთი ქართულად არ უნახია

„ნეთსის" ლიდერ ჯეისონ კიდს — არ დაგავიწყდეთ, ეს თეთრი ბიჭი დღემდე მსოფლიოს საუკეთესო გამთამაშებლად ითვლება — შეტევაში ქულა არ გაუკეთებია, ასე ირბინა 43 წუთი. ვერც იმას დაიტრაბახებს, დაცვაში სასწაულები ვაკეთეო — მისმა ოპონენტმა ჩონსი ბილაფსმა 22 ქულა მოიინადირა და ზედ 7 პასიც მოაყოლა. რა გინდა ასეთ დროს გააკეთო, როცა გუნდის ტვინი და ამ შემთხვევაში სხეულიც დადამბლავებულია, ხოლო მოწინააღმდეგეებში ეს ორგანოები იდეალურად მუშაობენ? ბევრის გაკეთებაც გინდა, მაგრამ ზურგი არა გაქვს. კერი კიტლზმა, რიჩი ჯეფერსონმა და კენი მარტინმაც ბევრი მოინდომეს და არცთუ ცოტა გააკეთეს კიდეც, მაგრამ კიდის გარეშე შორს ვერ წავიდნენ.

შვიდი ქულით კი დაწინაურდა, მაგრამ „ნიუ ჯერსიმ" საწყისი მეოთხედი მაინც 14:21 წააგო, მეორე თორმეტწუთეულის შემდეგ უკვე 12 ქულით ჩამორჩებოდა მეტოქეს და კიდევ ერთი ამდენიც რომ გავიდა, სხვაობა 23 ქულას შეადგენდა.

თუ ერთ ჩვენში ცნობილ ტელეწამყვანს დავუჯერებთ, ნებისმიერ გუნდში შეიძლება აღმოაჩინო მოთამაშე, ვინც ნახევარ წამში ორ საქმულიანს ჩააგდებს და მერე წამნახევარში კიდევ შვიდ ქულას გააკეთებს — ხომ გახსოვთ ერთ-ერთი უცხოური კლუბის ლაშქრობა საქართველოში, როცა მომხდურები ოცნი ერთზე მოდიოდნენ, მაგრამ ქართველებმა წუთში 12 ქულა მოუგეს და საბოლოოდაც დაამარცხეს ისინი. მაგრამ, როგორც ჩანს, ნიუჯერსელები არ იცნობენ ამ ჩვენს ბრძენ კომენტატორს და მის მიერ ყოველდღე პირდაპირ ეთერში გაჟღერებულ ამ გმირულ ეპოსსაც ვერ ისმენენ. არც ის ეცოდინებათ, როგორ უნდა ჩააგდო ექვსი ქულა ნახევარ წამში. ბევრი იწვალეს თუ ცოტა, ბოლო 12 წუთში ორი ზედმეტი ქულა თუ ჩააგდეს და თავიანთი გზა ნახეს.

„დეტროიტი" კი ზედიზედ მეორედ გავიდა აღმოსავლეთის ფინალში, საიდანაც შარშან ამ „ნიუ ჯერსიმ" გამოაგდო, ახლა კი იქ „ინდიანა" ელოდება. იქნებ აღნიშვნა აღარც ღირს, მაგრამ მაინც — „ინდიანას" რიკ კარლაილი წვრთნის, ეს კი ის კაცია, ვინც შარშან „დეტროიტმა" გამოუშვა იმ საბაბით, რომ ლარი ბრაუნი განთავისუფლდა და ის უნდა აეყვანოო. დანაყრდება მშიერი სამართალი? ახლა გაირკვევა, ახალგაზრდა კარლაილი უკეთესია თუ ჭაღარა ბრაუნი.

**ირაკლი ფირაშვილი**





ჯეისონ კიდი კარგა ხანია, პლეი ოფიდან ასე ადრე არ გავარდნილა. დეტროიტელ რაშიდ ვოლესსაც მისი გავარდნა ახარებს

## ხელბურთი

### საქართველოს მე-14 ჩემპიონატი



ბადრი კეთილაძის ფოტო

# ჩემპიონი, რა თქმა უნდა, შევარდენია
# ბომბარდირმბს ბოყოჩაძმ შყობა

— 21 მაისი —

**სტუ შევარდენი 51:29 თბილისი**
**საუ მამული 39:36 ქუთაისი**

ქართულ სპორტში არც ერთ სახეობაში არც ერთ კლუბს ისეთი შთამბეჭდავი სტატისტიკა არა აქვს, როგორიც სახელბურთო „სტუ შევარდენს“. გუშინ საქართველოს მეთოთხმეტე ჩემპიონატი დასრულდა და ამ გუნდმა მეთოთხმეტედ იჩემპიონა. თან ისე, ქულა რაა, ისიც არ დაუკარგავს.

„სტუ შევარდენი“ ყველას იოლად გაუსწორდა და უნებურად ერთი კითხვა წამოტივტივდა — ნეტავ, კლუბების ნაკრები რომ გაკეთდეს, ის მაინც თუ გაუწევს წინააღმდეგობას საქართველოს მარად ჩემპიონს?

ბოლო ტურში ჩემპიონებს ერთადერთი საზრუნავილა ჰქონდათ — ბომბარდირებშიც „თავისი კაცი გაეყვანათ. აუტსაიდერ „თბილისთან“ მთელი გუნდი მამუკა კობახიძეზე თამაშობდა. ბომბარდირთა ქუთაისელ ლიდერ ალეკო ბოყოჩაძის გადასასწრებად შემართული კობახიძეც „გაიხსნა“ და თამაში 34 გოლით დაასრულა. მეტსაც იზამდა, გუშინდელ ნომერში ჩვენგან ნაქები ახალგაზრდა მეკარე ალექსანდრე გონჩაროვი კვლავ საიმედოდ რომ არ მდგარიყო.

„შევარდენმა“ 51:29 მოიგო. კობახიძემ კი ბოყოჩაძეს გაუსწრო, მაგრამ მხოლოდ ერთი საათით — ალეკოს ხომ თამაში წინ ჰქონდა. ქუთათურთა ლიდერი ბომბარდირობაში ჯერ კიდევ შეხვედრის დაწყებამდე იყო დარწმუნებული და ტრიბუნაზე ერთ ჯგუფად მსხდომ ჩემპიონებს „საუ მამულის“ კარში გატანილ ყოველ გოლზე შეუძახებდა ხოლმე.

სხვა დატვირთვა არც ამ მატჩს ჰქონდა. შედეგი ცხრილში ვეღარაფერს ცვლიდა. „საუ მამულს“ ვერცხლი, „ქუთაისს“ კი ბრინჯაო ადრევე გაენაღდებინათ. ჰოდა, ხალხიც ოდენ ბოყოჩაძის გოლებს ითვლიდა.

პირველი ტაიმის შემდეგ „ქუთაისი“ 20:14-ს იგებდა, ალეკოს კი ოთხიღა აკლდა. ბოყოჩაძემ საქმე მატჩის დასრულებამდე 14 წუთით ადრე მოამთავრა და ტრიბუნებს ნიშანი მოუგო და რაკი საქმე გაკეთებული ჰქონდა, აღარ „უწვალია“, უმალ სათადარიგოთა სკამს მიაშურა. ამ დროს თამაში ბურთიბურთზე მიდიოდა. ბოლოსკენ კი „საუ მამულმა“ იძალა — 39:36.

ჩემპიონ-პრიზიორთა დაჯილდოების ცერემონია მატჩის დასრულებისთანავე მოეწყო. „სტუ შევარდენს“, „საუ მამულსა“ და „ქუთაისს“ მედლებთან ერთად ფორმებიც გადაეცათ. არც ნომინაციებში გამარჯვებულები დავიწყებიათ. საუკეთესო მეკარე მამულელი დავით ბერიკაშვილი გახდა. ყველაზე ტექნიკური მოთამაშე მართველი ირაკლი სხიერელი, ჩემპიონატის აღმოჩენა — ალექსანდრე განჩაროვი („თბილისი“), ხოლო საუკეთესო მოთამაშე ტიტე კალანდაძე („სტუ შევარდენი“). ბომბარდირზე კი უკვე მოგახსენეთ.

**ოთარ მაღლაკელიძე**

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტუ შევარდენი | 8 | 8 | 0 | 0 | 373:205 | 16 |
| საუ მამული | 8 | 5 | 0 | 3 | 248:279 | 10 |
| ქუთაისი | 8 | 2 | 1 | 5 | 257:295 | 5 |
| მართვე | 8 | 2 | 1 | 5 | 238:276 | 5 |
| თბილისი | 8 | 2 | 0 | 6 | 211:272 | 4 |

## ავტორბოლა

# F1

**მეექვსე ეტაპი** **მონაკოს დიდი პრიზი**

მონტე-კარლო

*მონტე კარლო, 23 მაისი*



**ტრასის სიგრძე** ------------------------------------ **3.340 კმ**
**რბოლის დისტანცია** --------------------- **78 წრე — 260.520 კმ**

*რბოლა დაიწყება თბილისის დროით 17 საათზე*

**შარშან:** 1 მონტოია (უილიამსი); 2 რაიკონენი (მაკლარენი); 3 მ.შუმახერი (ფერარი); 4 რ.შუმახერი (უილიამსი); 5 ალონსო (რენო); 6 ტრული (რენო); 7 კულჰარდი (მაკლარენი); 8 ბარიკელო (ფერარი)

**წრის რეკორდი:** 2003 — რაიკონენი (მაკლარენი) 1:14.545 (161,3კმ/სთ)



მიხაელ შუმახერი მონტე კარლოს ქუჩებში თავისუფალი ვარჯიშისას

## ჩოგბურთი

### მსოფლიო თასი

დიუსელდორფი. თიხნარი. საპრიზო 2,1 მილიონი €

**წითელი ჯგუფი**

**ჩილე 2:1 გერმანია**

ნიკოლას მასუ — რაინერ შუტლერი 6:4, 4:6, 6:2
ფერნანდო გონსალესი — ტომი ჰაასი 6:4, 7:6 (7:4)
ადრიან გარსია, მასუ — შუტლერი, ჰაასი 5:7, 2:6

**ჩეხეთი 3:0 ესპანეთი**

ირჟი ნოვაკი — ფელისიანო ლოპესი 7:6 (7:3), 6:1
რადეკ სტეპანეკი — ალბერტ კოსტა 6:4, 6:3
ნოვაკი, სტეპანეკი — გალო ბლანკო, ალექს კორეჩა 6:0, 6:1

## ჰოკეი

### პლეი ოფი. კონფერენციის ფინალი

# შეტევა, შეტევა...
# ფილადელფიამ იფრინა და ტამპა დაიფრინა

— 20 მაისი —

**აღმოსავლეთი**
**ფილადელფია 3:3 ტამპა**

**ფილადელფია 5:4 ტამპა**
*2:1 1:3 1:0 1:0*

0:1 ლეკავალიე (2), 1:1 განიე (8), 2:1 პრიმო (18), 2:2 ლეკავალიე (21), 3:2 კაპანენი (33), 3:3 ფედოტენკო (36), 3:4 ფედოტენკო (38), 4:4 პრიმო (59), 5:4 განიე (79)

„ფილადელფიას“ მეექვსე მატჩში აუცილებლად უნდა მოეგო და ასეც მოხდა. ასეთი თანაბარი მეტოქეების ბრძოლას მეშვიდე მატჩი ნამდვილად სჭირდებოდა — „მფრინავებს“ სათასო ბრძოლიდან ნაადრევად გამოთიშვა არ დაუმსახურებიათ, მეექვსე თამაშში სასწაულებრივი სულისკვეთება და გმირული ბუნება გამოამჟღავნეს.

ეს საოცარი მატჩი იყო, ისეთი, პირველი წუთიდან ბოლომდე სულს რომ ვერ მოითქვამ და იმას ნატრობ, სანახაობა რაც შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს. აქ ყველაფერს ნახავდით: თავბრუდამხვევი შეტევების, საოცარი მოგერიებების, განსაკუთრებულ, უაღრესად დამაინტრიგებელი სიუჟეტს და, რა თქმა უნდა, უამრავ გოლს...

ვენსან ლეკავალიეს ჩინებული ფარული დარტყმის შემდეგ „ტამპა“ მეორე წუთზევე გაიჭრა წინ და ცხადი გახდა, რომ დიდი ვნებათაღელვა იქნებოდა. სწრაფად გაშვებულმა გოლმა კი არ დააბნია მასპინძლები, კიდევ უფრო გააცხარა. პირველი პერიოდის ბოლომდე მთელი თამაში „ელვების“ ზონაში მიმდინარეობდა. ფილადელფიელი „ქორები“ (ამ შეხვედრაში უფრო ეს სახელი მოუხდებოდათ „მფრინავებს“) დაუღალავად დაფრინავდნენ ნიკოლაი ხაბიბულინის კარის ირგვლივ და ნადავლს ელოდნენ. ორჯერ იხეირეს კიდეც. ერთხელ კეიტ პრიმოს მორიგი გარღვევის შემდეგ სიმონ განიემ გააგზავნა შაიბა კარში, შემდეგ კი თავად პრიმომ შეიშნო ვლადიმერ მალახოვის საუცხოო პასი.

მეორე პერიოდში თამაში სრულიად შეიცვალა. ლეკავალიეს კიდევ ერთი სწრაფი გოლის შემდეგ ამჯერად უკვე „ტამპა“ დაეუფლა სრულ უპირატესობას. ვერც სამი კაპანენის გოლმა შეაჩერა სტუმრები (აქ ხაბიბულინი ერთადერთხელ შეცდა) და მეორე მესამედის დასრულებამდე წინ გასვლაც მოახერხეს. რუსლან ფედოტენკოს ორჯერ მიეცა მოხერხებული პოზიციიდან კარის დალაშქვრის შესაძლებლობა და ორჯერვე გამოიყენა.

„ფილადელფიას“ გავარდნის საშიშროება რომ დაემუქრა, მესამე პერიოდში მთელი ძალით შეუტია მეტოქეს. დრო გადიოდა, უდიდესი თავგამოდებით მებრძოლი ტამპელები კბილებით იცავდნენ საკუთარ კარს. დიდმა წინააღმდეგობამ უფრო გააფიცხა „ფილადელფია“ და მისმა გამუდმებულმა შეტევებმა ნაყოფი გამოიღო. ამ სერიაში „ტამპას“ გამამწარებელმა პრიმომ კართან ბრძოლაში ყველას აჯობა და გაათანაბრა ანგარიში.

ოვერტაიმი მესამე პერიოდის სრული ასლი გამოდგა. ბეწვზე გადარჩენილი „ფილადელფია“ კვლავ სულმოუთქმელად უტევდა, ხოლო „ტამპა“ თავგანწირვით იცავდა საკუთარ კარს და ელოდა, დაღლილი მეტოქე როდის შეცდებოდა, თუმც ამაოდ. მასპინძლებმა იქამდე იბრძოლეს, სანამ საბოლოოდ არ გატეხეს სტუმრები. კვლავ პრიმოს წამოწყებული საქმე სიმონ განიემ დაასრულა და ახლა ყველაფერი შაბათს, მეშვიდე მატჩში გადაწყდება.

„შესაძლოა, ეს იყო ერთ-ერთი საუკეთესო თამაში, რომელშიც ოდესმე მიმიღია მონაწილეობა“ — თქვა ნამატჩევს ჯერემი რენიკმა, რომელიც პრიმოსა და განიეს ხაზში პირველად გაამწესეს და სწორედ ამ ტრიომ განაპირობა მოგება.

„მთელმა ხაზმა შეუდარებლად ითამაშა. დღეს გუნდის გაჩერება შეუძლებელი იყო. ბიჭებს ჯერ არ უნდოდათ სეზონის დასრულება და მიაღწიეს კიდეც ამას“ — ფილადელფიელთა სიტყვაძუნწი მწვრთნელი კენ ჰიჩკოკიც ალაპარაკდა.

**სამველ ლარიბიანი**

*24 მაისს პარიზში ფრანგი ჩოგბურთელის, როლან გაროსის სახელობის კორტებზე სეზონის რიგით მეორე დიდი სლემის ტურნირი, „როლან გაროსი" იწყება*

# როლან გაროსის თიხა სამხრეთელებისთვის მღერის



პიტ სამპრასი, უიღბლო მეთიხნარე

საფრანგეთის ღია პირველობა უიმბლდონის შემდეგ მნიშვნელობით მეორე ტურნირად ჩაითვლება დიდი სლემის ოთხეულში. ეს უფრო ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიციაა, თორემ არც შემადგენლობით და არც საპრიზო ფონდებით საფრანგეთის ღია პირველობას არც დიდი სლემის სხვა ორი ტურნირი არ ჩამოუვარდება. მაგრამ, საუკუნის დასაწყისში, როდესაც ჩოგბურთელებს ამხელა ჰონორარები არ ჰქონდათ და სატრანსპორტო საშუალებებიც არ იყო განვითარებული, ევროპელებისთვის ამერიკაში და მით უმეტეს შორეულ ავსტრალიაში წასვლა პრობლემატური იყო. ამიტომაც უიმბლდონი და საფრანგეთის ღია პირველობა ის დიდი საჩოგბურთო ფორუმები იყვნენ, რომლებშიც მაქსიმალურად უძლიერესი შემადგენლობა იყრიდა თავს.

ამიტომაცაა საფრანგეთის ღია პირველობა „უიმბლდონთან" ერთად უპრესტიჟულესი, მით უმეტეს, რომ ეს ორი ტურნირი განსხვავებულ საფარზე ტარდება (თიხნარზე და ბალახზე) და ის, ვინც შეძლებს ორივე ამ ტურნირის მოგებას, სამუდამოდ ჩაწერს თავის გვარს დიდების სიაში. ხოლო თუ რომელიმე დიად ჩოგბურთელს საფრანგეთის ღია პირველობის გამარჯვებულის ტიტული აკლია, ეს მაინც უტოვებს მას ხინჯს და ხელს უშლის ამ მოთამაშის სრულად აღიარებას.

შორს წასვლა არ გვინდა. ახლახან დიდი ჩოგბურთიდან წასულმა პიტ სამპრასმა, რომელიც საყოველთაო რეკორდის მფლობელია (14 სლემტიტული აქვს), მხოლოდ იმიტომ ვერ მიაღწია საკუთარი პირველობის ერთსულოვან აღიარებას, რომ სწორედ ეს ტიტული აკლია. უფრო მეტიც სამპრასი თავისი სახელოვანი კარიერის განმავლობაში „როლან გაროსის" ფინალშიც არასოდეს ყოფილა, მაშინ, როდესაც მისი თანამედროვე ანდრე აგასი, რომელიც მნიშვნელოვნად ჩამორჩება სლემტიტულებში (8), უფრო უნივერსალურ ჩოგბურთელადაა მიჩნეული, რადგან საფრანგეთის ღია პირველობაც მოუგია. საერთოდ, აგასი დიდი სლემის შემსრულებელ დიდ ხუთეულშია (ემერსონი, ლეივერი, პერი, ბაჯი და აგასი)

### ვაჟები

„როლან გაროსსაც" თავისი გმირები ჰყავს. აქაური რეკორდი ლეგენდარულ შვედს ბიორნ ბორგს ეკუთვნის, რომელმაც პარიზში 6-ჯერ გაიმარჯვა. ოთხი გამარჯვება აქვს ფრანგების ჟილა ანრი კოშეს, სამ-სამი ჩეხ ივან ლენდალს, რენე ლაკოსტს (საფრანგეთი), მატს ვილანდერს (შვედეთი) და გუსტავო კუერტენს (ბრაზილია).

აქ ორ-ორჯერ გაუმარჯვიათ სახელგანთქმულ ავსტრალიელებს როი ემერსონს, როდ ლეივერს და კენ როზუოლს. თუმცა, ალბათ, ლეივერისა და როზუოლის მიღწევები უფრო შთამბეჭდავი იქნებოდა, ისინი რომ ხუთი წლის განმავლობაში დიდი სლემის ტურნირებიდან არ მოეკვეთათ. მოგეხსენებათ, პროფესიონალ ჩოგბურთელებს ამ ტურნირებში მონაწილეობა აკრძალული ჰქონდათ, 1962 წლის „როლან გაროსის" გამარჯვებული როდ ლეივერი პარიზში მხოლოდ 1967 წელს დაბრუნდა და კვლავ გაიბრწყინა. ასევე გაუცდა ეს წლები კენ როზუოლსაც.

იყვნენ სხვა დიდი ჩოგბურთელები, რომლებიც მთელი ძალით ცდილობდნენ, შეევსოთ თავისი ტიტულატურა საფრანგეთში გამარჯვებით, მაგრამ ამაოდ. პიტ სამპრასზე უკვე მოგახსენეთ.

ოციანი წლების დიდი ამერიკელი ჩოგბურთელი, უიმბლდონის 3-გზის და ამერიკის ღია პირველობის 7-გზის გამარჯვებული, ბილ ტილდენი პარიზის დაპყრობასაც შეეცადა, ორჯერ სულ ახლოს იყო მიზანთან, მაგრამ ორჯერვე მისი წინსვლა ფრანგებმა ანრი კოშემ და ჟან ბაროტრამ შეაჩერეს.

მხოლოდ საფრანგეთის ჩემპიონის ტიტული აკლიათ დიდი სლემის სრული კოლექციისთვის ისეთ დიდ ჩოგბურთელებს, როგორებიც არიან ამერიკელი ჯიმ კონორსი, ავსტრალიელები ჯონ ნიუკომბი, ფრენკ სეჯმენი და ეშლი კუპერი, შვედი სტეფან ედბერგი და გერმანელი ბორის ბეკერი. მათგან ყველაზე ახლოს გამარჯვებასთან სეჯმენი და ედბერგი იდგნენ, მაგრამ ორივემ წააგო გადამწყვეტი თამაში. მხოლოდ ფინალამდე მისვლა მოახერხა დიდმა ამერიკელმა ჯონ მაკინროიმაც.

თუ უიმბლდონში გულშემატკივართა სიყვარულს ჯენტლმენი და რაინდული სულის ჩოგბურთელები იმსახურებენ, საფრანგეთში პოპულარობით თავისუფალი ქცევისა და არაორდინალური ცხოვრების წესის ჩოგბურთელები სარგებლობენ. ასეთი იყო 30-იანი წლების მეორე ნახევრის ცნობილი გერმანელი ჩოგბურთელი „როლან გაროსის" 2-გზის გამარჯვებული გოტფრიდ ფონ კრამი, რომლის წინააღმდეგობით აღსავსე ცხოვრება თვით სახელგანთქმული მწერლის ფრანსუაზა საგანის შთაგონების წყარო გახდა. მან ფონ კრამს რომანიც კი მიუძღვნა.

ასევე პოპულარობით სარგებლობდა ქართველი ჩოგბურთის მოყვარულთათვისაც კარგად ცნობილი უნიჭიერესი რუმინელი ილიე ნასტასე, რომელმაც პარიზში 2-დან ერთი ფინალი მოიგო, მაგრამ უფრო თავისი არაორდინარული ქცევით მიიპყრო ყურადღება. ჭორებს თუ დავუჯერებთ, სწორედ ნასტასესთან მეგობრობა იყო მიზეზი იმისა, რომ ჯიმ კონორსს ჩაეშალა ქორწინება თავის სახელგანთქმულ თანამემამულე კრის ევერტთან. რადგან ნასტასე კონორსს საეჭვო რეპუტაციის ქალებში დაატარებდა. სხვათა შორის, თავის დროზე ჯერ კიდევ ყმაწვილ, 27 წლის ბიორნ ბორგს პარიზში მშობლებმა ჩააკითხეს და ნასტასესთან მეგობრობა აუკრძალეს, მოლიპულ გზაზე დაგაყენებსო.

თუ „როლან გაროსის" ტურნირის საყოველთაო მნიშვნელობის რიგითობაზე კამათი შეიძლება, სათიხნარო ტურნირებში რომ უპირველესია, ამაზე არავინ კამათობს. ამიტომაც ვიწრო სპეციალისტი ჩოგბურთელებისთვის სეზონში უმნიშვნელოვანესი სწორედ ეს ტურნირია. ასეთები კი მსოფლიოში არცთუ ცოტანი არიან. იგივე გუსტავო კუერტენი, ან ავსტრიელი თომას მუსტერი, რომელიც თიხნარზე ყველას მუსრს ავლებდა, მაგრამ სხვა საფარზე კაპიკის საქმე არ გაუკეთებია. აგრეთვე აღსანიშნია ესპანელი სერხი ბრუგერა, რომელიც 3-ჯერ იყო ფინალში და ორჯერ გაიმარჯვა.

სხვათა შორის, საფრანგეთის ღია პირველობა ყველაზე იდეალური სწორედ სამხრეთელებისთვისაა. როგორც წესი, აქ იმარჯვებენ არგენტინელები, ბრაზილიელები, ეკვადორელები, იტალიელები, ესპანელები. რაკი სიტყვა ესპანელებზე ჩამოვარდა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ბოლო წლებში „როლან გაროსის" მთავარ ფავორიტებად სწორედ ისინი იქცნენ და ბოლო წლების ფინალებიც მათ გარეშე არც ტარდება. ხშირად ფინალის ორივე მონაწილე ესპანელია.

რასაკვირველია, ესპანელები წელსაც ანგარიშგასაწევები იქნებიან, მაგრამ მსოფლიო ჩოგბურთის კაბადონზე ვირტუოზი შვეიცარიელის როჯერ ფედერერისა და უნიჭიერესი არგენტინელის გოლერმო კორიას გამოჩენა მათ ჰეგემონიას სერიოზულ საფრთხეს უქმნის.



გუსტავო კუერტენს „როლან გაროსი" სამჯერ მოუგია

### ქალები

ქალებში ყველაზე ტიტულოვნები არიან ამერიკელი კრის ევერტი (7), შტეფი გრაფი (გერმანია, 6), მარგარეტ სმიტ-კორტი (ავსტრალია, 5), ჰელენა უილსმუდი (აშშ, 4), მონიკა სელეში (იუგოსლავია, 3), არანჩა სანჩეს ვიკარიო (ესპანეთი, 3), ჰილდა კრანვინკელი (გერმანია, 3).



მარტინა ნავრატილოვას პარიზში სხვა კორტებზე მეტად უჭირდა

კრის ევერტი დიდი სიყვარულით სარგებლობდა პარიზის ჩოგბურთის გულშემატკივართა შორის და ახალგაზრდობის ჭეშმარიტი კერპი იყო. ეს იმითაც იყო გამოწვეული, რომ ევერტი პარიზში სულ პატარა გოგონა გამოჩნდა და „როლან გაროსი" წლების მანძილზე იყო მისი დიდი გამარჯვებების მოწმე. 7 მოგებული ფინალის გარდა ის კიდევ ორჯერ მივიდა ბოლო თამაშამდე. ევერტის პოპულარობა ლამის 20-იანი წლების სახელგანთქმული ჩოგბურთელის სიუზენ ლენგლენის პოპულარობას გაუტოლდა. 8 გზის სლემტიტულოსანი ეს ქალბატონი (2-ჯერ საფრანგეთის და 6-ჯერ „უიმბლდონის" ჩემპიონი), იმიტომაც სარგებლობდა გაუნელებელი სიყვარულით, რომ თავისუფალი ცხოვრების წესის სიმბოლო იყო — ლენგლენი იყო პირველი ქალი, ვინც კორტზე მოკლე კაბით გამოჩნდა. ევერტი პარიზის ჭეშმარიტი დედოფალი იყო თუნდაც იმიტომ, რომ მაშინდელი პირველი ჩოგანი მარტინა ნავრატილოვა საფრანგეთში სულაც არ იყო პირველი. ნავრატილოვა 6-ჯერ იყო ფინალში და მხოლოდ ორჯერ გაიმარჯვა.

თუმცა იყვნენ უდიდესი ჩოგბურთელები, რომლებმაც ტიტულს ერთხელაც ვერ მიაღწიეს, მათ შორის, განსაკუთრებით აღსანიშნავია ყველა დროის ერთ-ერთი ბრწყინვალე ჩოგბურთელი მარია ბუენო (ბრაზილია), რომელმაც 3-ჯერ მოიგო „უიმბლდონი", 4-ჯერ ამერიკის ღია პირველობა, „როლან გაროსზე" კი მხოლოდ ერთხელ გავიდა ფინალში; ამერიკელი ჰელენ ჯეკსონი, რომელმაც პარიზში ორი ფინალი წააგო; და ბოლოს დიდი ჩოგბურთიდან სულ ახლახანს წასული შვეიცარიელი მარტინა ჰინგისი, რომელსაც მხოლოდ ეს ტიტული დარჩა მოუნაგრავი, თუმცა ორჯერ ახლოს იყო გამარჯვებასთან.

ქალთა ჩოგბურთში არ არის ისეთი განსხვავება „მეთიხნარე" და „მობალახე" მოთამაშეებს შორის და ამიტომაც, ფავორიტები დიდი სლემის სხვადასხვა ტურნირებზე ერთი და იგივენი არიან, თუმცა მცირე კორექტივი კორტის საფარს მაინც შეაქვს. ვთქვათ, ლინდსი დევენპორტი პარიზში არასოდეს მისულა ფინალამდე. ვინუს უილიამსი კი იყო ერთხელ, მაგრამ არ გაუმარჯვია.

წლევანდელი „როლან გაროსი" მეტად გაუგებარ ვითარებაში იწყება. ბოლო წლების უცილობელ ფავორიტებს სერენა უილიამსებსა და ბელგიელ სუპერგოგონებს ტრავმებმა დარიეს ხელი და სავსებით ჯანმრთელი ვერც ერთი მათგანი ვერ ხვდება საფრანგეთის ღია ჩემპიონატს. ამიტომ შესაძლებელია მათგან ორი წლის განმავლობაში დაჩაგრულმა ქალებზე წამოჰყონ თავი.

**ილია მხეიძე**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge